



ჩვენი სახელოვანი
თანამემამულეები



Сыны Грузии

под редакцией Омара Шудра

OUR ILLSTRIOURS COMPATRIOTS

Edited by Omar Shudra

სტატიების კრებული ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორის, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრის, ომარ შუდრას საერთო რედაქციით

რეცენზენტი: ლ. ქარჩავა

სტილისტ-რედაქტორი: თ. კაპანაძე

კომპიუტერული დაკაბადონება: შ. ფოფხაძე

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2018

© შუდრა ო., 2018

IBSN 978-9941-27-827-3 (PDF)

UDC 929 (479. 22)+ 821.353.1-4

ჩ-554

გარნიტურა-აკადნუსხური

ფორმატი – PDF

გვერდების რაოდენობა – 63

ფაილის ზომა – 1.98 Mb.

2018 წ

ს ა რ ჩ ე ვ ი

პ. მელიქიშვილი	ო. შუდრა	5
ი. ბერიტაშვილი	ო. შუდრა	7
დ. უზნაძე	თ. კაპანაძე	10
შ. ნუცუბიძე	თ. კაპანაძე	14
ნ. მუსხელიშვილი	ა. ჭიჭინაძე	17
ო. ვეკუა	ო. შუდრა	20
ე. ხარაძე	შ. საბაშვილი	22
ა. თავხელიძე	ო. შუდრა	26
ნ. ამალღობელი	ო. შუდრა	30
კ. შჩოლკინი	ო. შუდრა	35
ვლ. კეკელიძე	ო. შუდრა	38
მ. ჭიაურელი	ა. მურახაშვილი	41
ე. მიქელაძე	რ. კახარიანი	45
ბ. პაიჭაძე	ო. შუდრა	50
„დინამო“ (ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ს. შუდრა და სხვ.)	ო. შუდრა	52

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

„მხოლოდ დიდი პიროვნებები ადგამენ ერს უკვდავების გვირგვინს“, ამბობს კონსტანტინე გამსახურდია. დიახაც რომ სწორედ დიდი ადამიანების, დიდი წინაპრების საქმეებითა და სახელით ვამაყობთ საუკუნეების მანძილზე.

ეროვნულად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები უნდა გაუფრთხილდნენ წინაპრების სახელსა და დიდებას, პატივი სცენ მათ დანატოვარს და ახალი დიდება შემატონ ქვეყანას, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამისათვის აუცილებელია მოზარდ თაობას, მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს მივაწოდოთ ჩვენი წინაპრების შესახებ ინფორმაცია, ბეჭდური სახით, ტელეგადაცემებითა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

სამწუხაროდ, დღევანდელმა ახალგაზრდებმა, მათ შორის სტუდენტებმა, არ იციან ქართველი ერის საუკეთესო შვილების, მეცნიერების, ხელოვნებისა თუ საზოგადო მოღვაწეების სახელი და გვარიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანის ძეგლი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზეა განთავსებული.

ორიოდე წლის წინ, ჟურნალ „ახალ ეკონომისტის“ რედაქციის წევრის, ომარ შუდრას ინიციატივით შეიქმნა ახალი რუბრიკა - „ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები“. კრებულში, ძირითადად, წარმოდგენილია ამ რუბრიკაში 2016-2018 წლებში გამოქვეყნებული სტატიები, მცირეოდენი შესწორებებით, რომელთა ავტორები (მეცნიერებათა დოქტორების ო. შუდრასა და შ. საბაშვილის გარდა), ახალგაზრდა პედაგოგები და უმაღლესი სკოლის წარჩინებული სტუდენტები არიან.

ჩვენი ჟურნალი კვლავაც გააგრძელებს ამავე რუბრიკით სტატიების გამოქვეყნებას ჩვენს სახელოვან თანამემამულეებზე, ხოლო დაახლოებით ორი წლის შემდეგ ისევ ცალკე ბროშურად გამოიცემა.


ლოიდ ქარჩავა

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე,

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



პეტრე მელიქიშვილი

„როცა ნაკლზე, შეცდომებზე არ წერთ, საკითხავადაც ისე საინტერესო არ არის. აი ნახეთ, როგორ წერენ ფრანგები თავიანთ დიდ მწერლებზე, მსახიობებზე... ადამიანური სისუსტე უფრო საინტერესოა მკითხველისათვის ვიდრე ქება“

ეროსი მანჯგალაძე

1919 წლის ოქტომბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპროფესოროში ჩვენებური ხმაურიანი კამათის შემდეგ, ხანში შესული, 69 წლის კაცი გულმოსული შინ წავიდა. უცოლშვილო პროფესორი, ე.წ. „ერევნის“ (ახლანდელ თავისუფლების) მოედანთან ცხოვრობდა. რუსეთის ლაბორატორიებში მეცნიერული მუშაობის შედეგად ისეთი ხასიათი ჩამოუყალიბდა, რომ სამხრეთულ ხმაურიან ურთიერთობებს ვერ იტანდა, იოლად მოსდიოდა გული, თავიდან ქართულად საუბარიც უჭირდა...

ივანე ჯავახიშვილი ამ დროს სიბრძნისმეტყველების (ეი საბუნებისმეტყველო) ფაკულტეტის მდივანი იყო. მაგრამ ფაქტობრივად, 43 წლის ასაკში, უნივერსიტეტის პრორექტორის მოვალეობას ასრულებდა და მის „შიდა საქმეებს“ მართავდა. მან ექვთიმე თაყაიშვილი პროფესორს შინ მიუგზავნა, რომელიც ისე გულამოსკვნილი ტიროდა, რომ ექვთიმეს ჭიქა წყლის მიწოდება მოუწია...

ეს იყო თსუ რექტორი პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც ამ ინციდენტის შემდეგ რექტორად დარჩენაზე უარი განაცხადა და მხოლოდ პროფესორად მუშაობაზე დათანხმდა.

ამის შემდეგ მან რამდენიმე წელი იმუშავა, ბოლოს, წიგნის ფურცლების გასაჭრელი დანით თითი გაიჭრა, ჭრილობა გაურთულდა და 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პეტრე გრიგოლის-ძე მელიქოვი (მელიქიშვილი) დაიბადა 1850 წლის 29 ივნისს ტფილისში. მისი მშობლები ახალციხიდან იყვნენ დედაქალაქში

გადმოსული. პეტრე განათლებულ ოჯახში იზრდებოდა—მამის დეაწლი დიდი იყო ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

პეტრე მელიქიშვილმა ტფილისის პირველი გიმნაზია 1868 წელს დაამთავრა, ხოლო 1872 წელს—ნოვოროსიის (ქ. ოლესა) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

პ. მელიქიშვილის ერთ-ერთი მოწაფე იყო ცნობილი ქიმიკოსი, აკადემიკოსი ნ. ზელინსკი (აირწინადის გამომგონებელი).

1899 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ პ. მელიქიშვილს (თანაავტორთან ერთად), ლომონოსოვის პრემია მიანიჭა.

1918 წლის 26 იანვარს ტფილისში, წყნეთის ქუჩის №41 ში, ქართული გიმნაზიის შენობის სამ ოთახში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა. ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე არ დაეთანხმა ახლადდაარსებული უნივერსიტეტის რექტორობას, რადგან ქართული უნივერსიტეტის ნაცვლად, გარკვეულ ძალებს ამიერკავკასიის (რუსულენოვანი) უნივერსიტეტის გახსნა სურდათ. რუსეთში და უცხოეთში სახელმოსვეჭილი მეცნიერის, პეტრე მელიქიშვილის ავტორიტეტის გარეშე ეს დიდი საქმე ჩაკედებოდა.

1918 წლიდან პ. მელიქიშვილი თსუ რექტორი (ხელფასის გარეშე), ფაკულტეტის დეკანი და ორგანული ქიმიის კათედრის გამგეა. მან შექმნა ქიმიის რამდენიმე ლაბორატორია, ორი კათედრა, ქიმიური ქართული ტერმინოლოგია. 1920 წელს გამოვიდა მისი წიგნი (დვინის ქიმიურ შემდგენლობაზე), 1921 წლიდან ის აგროფაკულტეტის დეკანია, წერს შრომებს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გამოყენების შესახებ.

1923 წელს მელიქიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილე ქართულმა საზოგადოებამ დიდი ზემოთ აღნიშნა. 1927 წლის იანვარში კი მან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა მიიღო.

პ. მელიქიშვილი 1927 წლის მარტში გარდაიცვალა, ის უნივერსიტეტის ბაღ-პანთეონში დაკრძალეს. ბიუსტის ავტორი ცნობილი ი. ნიკოლაძეა. მისი სახელი მიენიჭა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტს, დაარსდა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (ქიმიის და ფიზიკის დარგში).

მისი მონოგრაფია კი ათიოდე წლის შემდეგ დაიბეჭდა.

ომარ შუდრა



ივანე ბერიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1962 წელს კიბერნეტიკის სპეციალობის მე-4 კურსზე ვიყავი, როცა ჩემი ყურადღება დერეფანში გამოკრულმა განცხადებამ მიიქცია. ის „ფიზიკის დიდ აუდიტორიაში“ იწვევდა სტუდენტებს აკადემიკოს ივ. ბერიტაშვილის მოხსენებაზე ... გონებრივი შრომის ორგანიზაციის შესახებ.

ფიზიოლოგიის კურსს დოცენტი (შემდგომში – აკადემიკოსი) თემო იოსელიანი გვიკითხავდა, შესანიშნავი მეცნიერი და პიროვნება. მისი რეკომენდაციით, ჩათვლისთვის ბერიტაშვილის სქელტანიანი სახელმძღვანელო დავაკონსპექტე. გაოცებული ვიყავი, თუ რა მეცნიერული სიღრმით, ერუდიციით, უცხოური ლიტერატურის სოლიდური სიით იყო დაწერილი ეს წიგნი.

დიდ აუდიტორიაში, რატომღაც, განათება მოიშალა. მოხსენებას ათიოდე სტუდენტი ესწრებოდა. ფანჯარასთან, პირველ რიგში, ჩემს მერხთან მდგომი მოხუცი ძალიან მშვიდად, შინაურულად გვესაუბრებოდა. ასე გავიცანი პირველად ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი.

მოგვიანებით გავიგე, ამ საკითხებით ის სტუდენტობიდან ყოფილა გატაცებული და სტუდენტებს პირველ ლექციაზე ყოველთვის გონებრივი შრომის ორგანიზაციაზე, პატიოსნებაზე, თავმდაბლობაზე ესაუბრებოდა. შავი „კახური“ ქუდი, რომლითაც ის დადიოდა (გონებრივი შრომის ეფექტურობის მიზნით), მალე აკადემიურ წრეებში მოდად იქცა.

ივ. ბერიტაშვილი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორად დგომას, ხერხემლის პოზას ადამიანის ცხოვრებაში და შინ „შვედური კედელიც“ კი ჰქონდა, ის აკადემიის სხდომების დროსაც კი კედელთან დგომას ამჯობინებდა..

ივ. ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წლის 10 იანვარს სოფ. ვეჯინში (გურჯაანთან). მამა (წარმოშობით ქართლელი) მღვდელი იყო. დედამ (სამჭკუაშვილის ქალმა) თორმეტი შვილი გააჩინა. ვანო მეთერთმეტე იყო. მან დაწყებითი განათლება ვეჯინის სასოფლო სკოლაში მიიღო. სწავლა გააგრძელა

ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში (ვასილ ბარნოვი მისი მასწავლებელი იყო), შემდეგ ძმების მხარდაჭერით – ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ვანოს მღვდელობა არ უნდოდა, სემინარიიდან გამოვიდა, მამასთან ამის გამო კონფლიქტი მოუვიდა და როგორც შედეგი – უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა.

ჯიუტი ხასიათი თანდათან მის ნებისყოფაში გადაიზარდა: რუსული ენის დაუფლებისათვის ბინა ქვრივ რუსთან იქირავა, ალ. სვანიძესთან ერთად (მომავალში – ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრი), რომელმაც მას წიგნზე მუშაობა კიდევ უფრო შეაყვარა. ამავე მიზეზით დაიწყო დღიურების წერა (ძირითადად, რუსულ ენაზე). თვითაღზრდის გარდა, დღიური ვანოს დროის რაციონალურ გამოყენებაშიც ეხმარებოდა. ამ პერიოდში ის უფრო სოციოლოგიური საკითხებით იყო გატაცებული, ამიტომ სანქტ-პეტერბურგის პოლიტეკონომიის ფაკულტეტზე აპირებდა სწავლას, მაგრამ საბოლოოდ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე მოხვდა (1906).

უკარება, უმეგობრო, უსალმო, მორცხვი ხასიათის ჭაბუკმა იშვიათი შრომისმოყვარეობით მიიქცია პედაგოგების ყურადღება. ის ფიზიოლოგიით დაინტერესდა და როგორც წარჩინებული ასპირანტი, ერთი წლით ჰოლანდიაში გააგზავნეს (1914). 1915 წლიდან კი ივ. ბერიტაშვილი ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი. აქვე დაქორწინდა თავის სტუდენტზე ო.ანგვინსკაიაზე, რომელთანაც რამდენიმე შრომაც გამოაქვეყნა. მათ შეეძინათ ქალიშვილი სალომე.

როდესაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, აქ ივ. ბერიტაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ, მეცნიერულ ფიზიოლოგიურ სკოლას (ივ. თარხნიშვილი რუსეთში მუშაობდა). მან საოცარი ორგანიზაციული ნიჭი გამოავლინა ამ საქმეში, (ისევე როგორც ტრადიციული „გაგრის საუბრების“ (სიმპოზიუმების) ჩამოყალიბებაში).

1922 წელს ფიზიოლოგიაზე დაწერილი წიგნი რამდენჯერმე გამოიცა. სულ ივ. ბერიტაშვილი ცხრა მონოგრაფიის ავტორია.

1934 წლიდან ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია (1935 წლიდან ის ფიზიოლოგიის ინსტიტუტად გარდაიქმნა, ხოლო 1941 წ. მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადავიდა).

საბჭოთა ჯარის ევროპაში შესვლის შემდეგ, 1948 წელს ქვეყანაში რთული საერთო-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა: დაიწყო კამპანია „კოსმოპოლიტიზმის“

წინააღმდეგ. კრიტიკის ქარცეცხლი შეეხო მწერლებს, მუსიკოსებს, მეცნიერებს, გენერალიტეტს... დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ლინდა შტერნიც.

1949 წელს, რუსული პატრიოტიზმის პროპაგანდის მიზნით, ივ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავზე გრანდიოზული ღონისძიებები იყო დაგეგმილი. ამ ფონზე გამოქვეყნებული ივ. ბერიტაშვილის ბროშურა (1947) და „საერთო ფიზიოლოგიის“ ორტომეული (1948) საგაზეთო სტატიაში გააკრიტიკა პარტიის ცკ მეცნიერების განყოფილების გამგემ (პოლიტბიუროს წევრის, ა. ჟდანოვის შვილმა). საიუბილეო აუიოტაჟის გამო ბერიტაშვილს მეცნიერული დისკუსიის საშუალება არ მისცეს. კრიტიკული განწყობა (სტალინის დიქტატურის პირობებში) გადაეცა მეცნიერებათა აკადემიასაც (პრეზიდენტი ა.ნ. ნესმეიანოვი), სადაც მას აკრიტიკებდნენ „დეალიზმში“, „ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმში“ და „სტალინის შეხედულებებთან წინააღმდეგობაში“. კრიტიკული შენიშვნები მიიღო ივ. ბერიტაშვილმა ჩვენი რესპუბლიკის აკადემიაშიც (1951), თუმცა, (რადგან პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი იყო), უფრო კეთილგანწყობილ ატმოსფეროში.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით 1955 წლიდან (ფიზიოლოგთა საკავშირო ყრილობა კიევში, ცნობილი ფიზიკოსის პ. კაპიცას წერილი ნ. ხრუშჩოვს ა. ჟდანოვის შვილის „ღვაწლის“ შესახებ), ბერიტაშვილს მიეცა საშუალება, გაეგრძელებინა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობა.

ის იყო თსუ კათედრის გამგე (1960 წლამდე), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), სოციალისტური შრომის გმირი (1964), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი... დაჯილდებული იყო რამდენიმე უმაღლესი ორდენით. გადაუხადეს ოფიციალური იუბილეები – 50, 70, 75, 80 წლისთავზე.

უყვარდა ფიზიკური შრომა სოხუმის აგარაკზე, სიმღერა მოლხენისას (მეუღლე ოპერის თეატრში მღეროდა), იყო კარგი თამადა. მან დაამკვიდრა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ქალაქგარეთ ექსკურსიების ტრადიცია.

ივ. ბერიტაშვილი ძუნწი იყო ქებაში, უფრო ირონია და დატუქსვა უყვარდა. ხშირად სიცხიანიც კი მუშაობდა შინ (კამოს ქუჩაზე, შემდგომ გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიან სახლში). სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად

ავადმყოფობდა (ორი ინფარქტი, ხშირი პნემონია, ფილტვების ანთება და სხვ.), თუმცა, ნათელი გონება გარდაცვალებამდე შეინარჩუნა.

მეცნიერებით გატაცებული, მუდამ ჩაფიქრებული, ზოგჯერ კურიოზებშიც ვარდებოდა: როცა მას შრომის გმირობა მიანიჭეს, ქვეყნის პირველმა პირმა – საქართველოს კომპარტიის ცკ პირველმა მდივანმა, ვასილ მუავანაძემ შინ დაურეკა და მაღალი ჯილდო მიულოცა. პარტიული იერარქია ბერიტაშვილს არ აინტერესებდა, უცებ ვერ გაერკვა, ვინ ულოცავს, და გადაამოწმა: „ცეკას დირექტორი ბრძანდებით?“ ეს რეალური ისტორია აკადემიურ წრეებში დღემდე ახსოვთ და უკვე ანეკდოტად იქცა.

გარდაიცვალა ივ.ბერიტაშვილი 1974 წელს, 90 წლის ასაკში. დაკრძალულია უნივერსიტეტის ბაღ-პანთეონში.

ომარ შუდრა



დომიტრი უზნაძე

საქართველოს ღირსეულ თანამემამულეთა შორის გამორჩეული ადგილი დაიკავა დომიტრი უზნაძემ, რომელიც იყო დიდი პატრიოტი, მაღალ-ზნეობრივი კულტურითა და ადამიანობით გამორჩეული პიროვნება, რითაც სიცოცხლეშივე დაიმსახურა, როგორც ქართველი ერის, ასევე უცხოელ საზოგადო მოღვაწეთა სიყვარული და პატივისცემა.

დიმიტრი უზნაძე ყველასათვის ცნობილია, როგორც ფსიქოლოგი, მაგრამ იგი ასევე იყო ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა საქართველოს განვითარების საქმეში. დიმიტრის თითოეული სიტყვა სავსეა ღრმა ცოდნითა და ინტელექტუალური ადამიანის ნააზრევით, რაც მსოფლიომ აღიარა. ქართველები ვალში ვართ მის წინაშე, ამიტომ უზნაძის, როგორც საზოგადო მოღვაწეობის, ისე პიროვნების გაცნობა, სასიკეთოდ წაადგება თითოეულ ადამიანს, თუნდაც ამიტომ ღირს, რომ ყურადღებით მივადევნოთ თვალი დიდი პიროვნების მოღვაწეობის პერიოდს.

ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1918) დიმიტრი უზნაძე, დაიბადა 1904 წლის 20 დეკემბერს იმერეთის მხარეში, სოფელ ქვედა საქარაში, რომელმაც დამსახურებულად მიიღო ჯილდოები: შრომის წითელი დროშის ორდენი, მედალი „კავკასიის დაცვისთვის“ და მედალი „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამირული შრომისთვის“.

დიმიტრიმ 1904 წელს დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია, ხოლო 1909 წელს – ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. იმავე წელს ფილოსოფოსის დოქტორის ხარისხი დაიცვა ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში, გერმანიაში. 1913 წელს უზნაძემ ექსტერნის წესით დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის (უკრაინა) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიის განხრით.

1909-1918 წლებში დიმიტრი მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1917 წელს მან ქუთაისში გამოსცა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. 1917-1918 წლებში თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი იყო, 1918 წელს ივანე ჯავახიშვილთან და სხვა გამორჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად დააფუძნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1918-1950 წლებში იყო უნივერსიტეტის პროფესორი და მის მიერვე დაარსებული ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. 1935 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1941 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის პირველი სამეცნიერო დაწესებულება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 წელს გარდაიქმნა

ფსიქოლოგიის ინსტიტუტად. როგორც სექტორის, ისე ინსტიტუტის დირექტორი იყო დიმიტრი უზნაძე. ინსტიტუტი, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მთელს მსოფლიოში, მის სახელს ატარებს. 1933-1942 წლებში უზნაძე იყო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფსიქოლოგიის კათედრის პირველი გამგე.

უზნაძის სამეცნიერო შრომები (რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზე), ეძღვნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს. განსასკუთრებით აღსანიშნავია მისი თაოსნობით შექმნილი „განწყობის თეორია“, რომელიც სამართლიანად ითვლება თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვრად.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი ფუძემდებლის მონოგრაფია „განწყობის ფსიქოლოგია“ ამ მიმართულებით ინტენსიურ კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა 1923 წელს, როდესაც თსუ-ის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში „ჩვენი მეცნიერება“ გამოქვეყნდა უზნაძის სტატია.

ჯერ კიდევ 1939 წელს სკანდინავიაში გამომაგალ ავტორიტეტულ საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნდა განწყობის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი მისი ვრცელი ნაშრომი. სწორედ ამ დროიდან საქართველოს მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობა მოექცა მსოფლიოს ფსიქოლოგთა ყურადღების ცენტრში. ამიტომ დღეს დიმიტრი უზნაძე სამართლიანად ითვლება განწყობის ფსიქოლოგიის მამამთავრად. გარდა ამისა, დიმიტრი ითვლება ექსპერიმენტალური პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ფსიქოლოგიის ფუძემდებლად საქართველოში. ჯერ კიდევ 1912 წელს მან გამოსცა „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“, რითაც სათავე დაუდო ჩვენში ამ მიმართულებას.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უზნაძე, აქტიურად მონაწილეობდა 1910-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა თვალსაჩინო მოღვაწე, 1917-1919 წლებში კი საქართველოს ეროვნული სბჭოს წევრი. 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული სბჭოს საგანგებო სხდომაზე, მან ხელი მოაწერა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის აქტს“.

დიმიტრი უზნაძე არავითარ შემთხვევაში არ გააპატიებდა ქართული სიტყვის არასწორად გამოთქმას, აღნიშნავს მისი მეგობარი წიგნში („ზოგიერთი რამ წარსულიდან“) და აქვე მიუთითებს, რომ „ივანე ბერიტაშვილი შენიშვნებს

ისეთი პირდაპირობითა და სიმკაცრით იძლეოდა, რომ მათი მონელება არც ისე ადვილი იყო. ორივე დიდად იყო დაინტერესებული ვაზისა და ღვინის კოლექციებით, ყურძნის გადამუშავების, ღვინის ტექნოლოგიის ქართული წესებით. მათი დიდი სურვილი იყო ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის მაღალ მცენარეულ დონეზე განვითარება.

დიმიტრი ბუნებით მშვიდი და უკონფლიქტო პიროვნება იყო, მისი მეუღლე კი უფრო ენაწყლიანი გახლდათ: ერთხელ კვირა დილით, თელავის ბაღთან შევხვდი დიმიტრი უზნაძის მეუღლეს ქალბატონ შუშანას. იგი ბაზრიდან ბრუნდებოდა, თან სიძე – პროფესორი მიხეილ შიშნიაშვილი ახლდა და, შემნიშნა თუ არა, პირდაპირ ჩემთან მოიჭრა და აღელვებულმა მომმართა: – ბატონო სერგო, ეს რასა ჰგავს, აკადემიას აქ ათეული პექტარობით ვენახები აქვს და ჩვენ კი ყურძენს მტვენობით ბაზარზე ვყიდულობთ, ნუთუ არ შეიძლება, რომ თქვენთან სახელმწიფო ფასით შევიძინოთ. გვეცოდინება მაინც, რას ვჭამთ...

ამ უხერხულობის შემდეგ, დღის 12 საათი იქნებოდა, როდესაც შემატყობინეს, რომ ინსტიტუტის ეზოში დიმიტრი უზნაძეაო. შენობის მთავარ შესასვლელთან შევეგებე. იგი ნელი ნაბიჯებით მომიახლოვდა, დიმილით მომეგება და წყნარი ხმით მითხრა:

–თქვენთან იმისთვის მოვედი, რომ ბოდიში მოგიხადოთ. ვწუხვარ, რომ ჩემმა მეუღლემ თქვენ ასეთ დღეში ჩაგაგდოთ; მასაც და მეც უნდა გვაპატიოთ.

ბატონ დიმიტრისთან საუბრისას, მასთან ყოფნისას რაღაც სულიერი სიმშვიდე, მომავლის იმედი გეუფლებოდა.”

დიმიტრი უზნაძემ ღრმად გაიდგა ფეხები ქართველთა გულებში იმ დიდი სიყვარულით, როგორც მას, როგორც ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ეკადრება.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს, 63 წლის ასაკში. დაკრძალულია თსუ-ის ბაღ-პანთეონში.

თამთა კაპანაძე



შალვა ნუცუბიძე

„მხოლოდ დიდი პიროვნებანი ადგამენ ერს უკვდავების გვირგვინს“, წერს კონსტანტინე გამსახურდია – სწორედ დიდ პიროვნებას წარმოადგენდა ფილოსოფოსი და პოეტი, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, რომელსაც უყვარდა საქართველო ისე, როგორც მეცნიერება და მეცნიერება ისე, როგორც საქართველო.

შალვა ნუცუბიძემ ღრმა კვალი დატოვა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის საქმეში. ფილოსოფია, ლოგიკა, ლიტერატურის ისტორია, რუსთველოლოგია, ესთეტიკა, ხელოვნების ისტორია, პედაგოგია – ეს, ის არასრული ჩამონათვალია სფეროებისა, რომლებიც ნუცუბიძემ ახალი კვლევებით გაამდიდრა.

შალვაზე, როგორც ორატორზე, ლეგენდებიც შეიქმნა, მისი ოქროპირობა აოცებდა მრავალრიცხოვან მსმენელს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ფილოსოფოსის მოღვაწეობის მდიდარი პერიოდებიდან მინდა გამოვიყო 30-იანი წლები, როდესაც იგი უშუალოდ ემსახურება ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხებს, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას და განსაკუთრებითაა დაინტერესებული რუსთაველის კვლევით, რუსთველოლოგიით.

შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წელს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფაცხაყანაში. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს წერდა ლექსებს, დააარსა ჟურნალი „განთიადი“. 1906 წელს სწავლობდა პეტერბურგში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1910 წლიდან მუშაობდა ყუბანის ოლქში. 1913 წელს მოსკოვის ერთ-ერთ სოლიდურ გაზეთში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“. 1918 წელს, თბილისის უნივერსიტეტის გახსნის საქმეში დიდი წვლილი გასწია და მანვე წარადგინა „პეტრიწის სახელობის ფილოსოფიური საზოგადოება“. იყო ასევე, უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე.

30-ანი წლებიდან მოყოლებული შალვას შემოქმედება ქართული კულტურის პრობლემებია, კერძოდ, გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რასაც ხელი შეუწყო პოემის 750 წლის იუბილემ, რომელიც 1937 წელს გაიმართა”.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, აკადემიის საერთო კრებამ შ. ნუცუბიძეს ჩამოართვა აკადემიის წევრის წოდება და გაათავისუფლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. 1960 წელს კი სრულად აღუდგინეს მეცნიერის სტატუსი.

მეცნიერის სტატუსის აღდგენის შემდეგ შალვა ნუცუბიძეს ნიკო მუსხელიშვილისთვის უთქვამს: „ – ნიკო, შენი მადლიერი ვარ, ყველა იმათიც, ვინც სიმართლე დაიცვა. მზად ვარ შევასრულო ყველა დავალება, რაც საქართველოს მეცნიერების წინსვლას შეუწყობს ხელს, რაც ქართველი ხალხის უკვდავებას რასმე კიდევ შემატებს. შენ იცი, მე მშიშარა კაცი არასოდეს ვყოფილვარ, რაც დავიბადე, სულ მძაფრ ბრძოლაში ვარ, ყოველთვის გამიტანია ღელო, ახლაც ის ძველი შალვა ვარ”.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შალვა ნუცუბიძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ლიტერატურულ საქმიანობაში, მეტწილად რუსთაველოლოგიაში, მაგრამ ამასთანავე დიდი ღვაწლი აქვს ჩახრუხადის „თამარიანისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ სრულად თარგმნის საქმეში.

განსაკუთრებულია ნუცუბიძის ღვაწლი ფსევდონიმისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის კვლევაში. ეს ჰიპოთეზა შალვამ წამოაყენა 1942 წელს, მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი და ბიზანტიოლოგი ერნესტ ჰომინგმანი 1952 წელს, რის შედეგადაც აღნიშნულ თეორიას ნუცუბიძე – „ჰომინგმანის თეორიას“ უწოდეს.

ნუცუბიძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული, ძველი საგანმანათლებლო კერებისა და მათში მოღვაწე ქართველი განმანათლებლების კვლევის საქმეში, რითაც მნიშვნელოვნად განისაზღვრა ქართული კულტურის საუკუნოვანი მნიშვნელობა და წინაპარ მოღვაწეთა ნაკვალებზე დაშენდა ახალი საგანმანათლებლო, სასულიერო თუ საერო მწერლობა.

შალვა ნუცუბიძემ, როგორც რუსთაველოლოგმა, ახალი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში. მან სამეცნიერო სახე მისცა შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით

წარმართა. მართალია, მას შემდეგ, რაც პოემამ მზის სინათლე იხილა, ბევრი მკვლევარი დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის ყველა ასპექტში განხილვით, იქნება ეს ლიტერატურული, ისტორიული თუ კულტურული. მაგრამ შალვა ნუცუბიძეს კვლევა ეხება თვით შოთა რუსთაველის, როგორც პოემის ავტორის ვინაობის დამტკიცებას, რომელსაც წინ უძღვოდა ექსპედიცია პალესტინაში, ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, სადაც გამოსახულია შოთა რუსთაველი. კვლევამ ცხადად აჩვენა, სხვა მრავალ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ პოემის ავტორი ნამდვილად შოთა რუსთაველი იყო.

„ვეფხისტყაოსნის“ განხილვისას შალვა ნუცუბიძე წარმოგიდგება ლიტერატორის ამპლუაში, სადაც განიხილავს ავტორის ჰუმანიტარულ მსოფლმხედველობას, ახლებურად გადაწყვეტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი. წერს პოემის ორიგინალობის შესახებ, სადაც სტროფების მოშველიებითა და უკვე ნაწარმოები კვლევების საფუძველზე ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“, შოთა რუსთაველის ორიგინალური ნაწარმოებია. მოგეხსენებათ ქართულ კრიტიკაში ცალსახად არსებობდა მოსაზრება, რომ თითქოს შოთამ ქართულად თარგმნა იგი და თავად არ დაუწერია.

განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. ნუცუბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ მოწინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტურ გამოსახვას და ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს. აკადემიკოსის დასაბუთებით „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა – სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება – პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული.

შალვა ნუცუბიძე, რუსთაველოლოგიაში რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენებს მიერ წარმოდგენილი მცირე საკითხებით არ შემოიფარგლება, მას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ამიტომაც წარმოგიდგება იგი ლიტერატურის მკვლევრის ამპლუაში, კერძოდ რუსთაველოლოგიის დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის მთავარ სფეროს ფილოსოფია წარმოადგენდა, მან თავისი ნიჭითა და ფართო ერუდუციით მრავალ დარგში გაითქვა სახელი.

ღრთა განმავლობაში ლიტერატურა ვითარდება, ახალი კვლევები და საკითხები იჩენს თავს, ამ მხრივ არც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ კარგავს ინტერესს, მაგრამ შალვა ნუცუბიძის გაწეულ ღვაწლს რუსთაველო-

ლოგიაში ვერავინ უარყოფს, მისი კვლევები ყოველთვის იქნება საფუძველი ყოველი ახალი კრიტიკული ნააზრევისა.

შალვა ნუცუბიძე გარდაიცვალა 1969 წელის 6 იანვარს, დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-პანთეონში.

თამთა კაპანაძე



ნიკოლოზ მუსხელიშვილი

აკადემიის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც ნიკოლოზ მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გაიმართა გაცხარებული კამათი ორ მხარეს შორის. აკადემიკოსი მშვიდად ადევნებდა თვალყურს ამ დავას. მან ორივე მხარეს მოუსმინა და ბოლოს თავისი აზრის გამოხატვის ნებას თხოვა დამსწრე საზოგადოებას. რა თქმა უნდა, სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან ბატონი ნიკო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მუსხელიშვილი მოჰყვა ანეკდოტს, რომელიც მიესადაგებოდა შექმნილ სიტუაციას, და ასე განმუხტა დაძაბულობა. ის იუმორისა და ენამოსწრებულობის საშუალებით ახერხებდა ადამიანებისათვის თავისი სათქმელის უმტკივნეულოდ გამოხატვას. პროფესორი ვახტანგ პარკაძე მოგვითხრობს: ერთხელ, როცა თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში, პროფესორი დავით დოლიძე ჰილზიან პაპიროსს ეწეოდა, მუსხელიშვილმა შენიშნა, რომ ის მოწვევის წინ ბამბას დებდა ჰილზში. მას გაუკვირდა და მიზეზი იკითხა, ბატონმა დავითმა კი უპასუხა, რომ

ბამბა პაპიროსის ბოლს ფილტრავდა და ნიკოტინის საგრძნობი ნაწილი ადამიანის ორგანიზმში არ ჩადიოდა. ამაზე კი ნიკომ დასძინა: „ ყვავი ნეხვზე იჯდა და კუდს ზედ არა სდებდაო “. . .

ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. მას დიდი დამსახურება აქვს მეცნიერებაში. მან შემოიღო მრავალი მეთოდი, რომლებსაც დღესაც წარმატებით იყენებენ მათემატიკის მრავალ დარგში. ძირითადი ნაშრომები აქვს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში, მათემატიკურ ფიზიკასა და დრეკადობის თეორიაში. მისი მრავალწლიანი შრომა დაუფასებლად არ დარჩენილა არც საქართველოში და არც მის საზღვრებს გარეთ. ნიკო მუსხელიშვილი იყო გერმანიის, პოლონეთის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ის დააჯილდოვეს ტურინის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პრემიითა და ოქროს მედლით. მის პატივსაცემად თბილისში ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე დგას მისი ძეგლი.

ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი დაიბადა თბილისში 1891 წლის 16 თებერვალს სამხედრო ინჟინრის ოჯახში. ჩინებული აღზრდა მშობლების ხელმძღვანელობით მიიღო. მათემატიკოსის დედა, დარია ალექსანდრეს ასული საგინაშვილი, იმ დროისათვის დიდად განათლებული ქალი, თვითონ ასწავლიდა შვილებს არამარტო ქართულ, არამედ უცხო ენებსაც, განსაკუთრებით-ფრანგულს. მამა, ივანე ლევანის ძე, რომელმაც როგორც სამხედრო ინჟინერმა კარგად იცოდა მათემატიკა, ცდილობდა შვილებისთვის ჩაენერგა მისი სიყვარული. ამან დიდი როლი შეასრულა ნიკოს მათემატიკისადმი ინტერესსა და სიყვარულში. თვითონ ნიკო აფასებდა მამის როლს კარიერაში და ამბობდა, რომ ის მისთვის მათემატიკის პირველი მასწავლებელი იყო. მან მამისადმი პატივისცემა და სიყვარული იმით გამოხატა, რომ 1928 წელს კინემატიკის კურსის სახელმძღვანელო მას მიუძღვნა. ოჯახის სურათი ნიკოს მუდამ საწოლთან ეკიდადა, როგორც ამბობდა, მათი ხილვა სულიერ სიმშვიდეს, გონებრივ ძალასა და ფიზიკურ სიმხნევს მატებდა.

საშუალო განთლება თბილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1909 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1914 წელს წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტი და იქვე დარჩა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ნიკო მუსხელიშვილის პირველი მეცნიერულ ნაშრომი სწორედ ამ დროს იბეჭდება. 1920 წელს ის უკვე ბრუნდება საქართველოში და ამის შემდეგ მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი

მოღვაწეობა აქ მიმდინარეობს. ამავე წელს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი დიდი სიხარულით შეხვდა ნიკოლოზ მუსხელიშვილს და სამშობლოში დაბრუნება მოუწონა. მუსხელიშვილი ანდრია რაზმაძესთან, გიორგი ნიკოლაძესა და არჩილ ხარაძესთან ერთად მათემატიკური სკოლის შექმნას შეუდგა. დიდია ბატონი ნიკოს როლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციისა და განვითარებაში. აკადემია ჩამოყალიბდა 1941 წელს და ნ.მუსხელიშვილი მისი უცვლელი პრეზიდენტი იყო დაარსებიდან 1972 წლამდე, როცა ის მისმა მოწაფემ, ილია ვეკუამ შეცვალა. 1957 წელს საბჭოთა კავშირმა პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა კოსმოსში. ამ დიდ მიღწევაში ფუნდამენტური წვლილი შეიტანა მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიამ.

აკადემიკოსს ჰყავდა ერთი ვაჟი, გურამ მუსხელიშვილი. ის მათემატიკოსი არ გამოსულა, ამიტომ აკადემიაში ზოგჯერ გაკვირვებას გამოთქვამდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით. მუსხელიშვილი კი პასუხობდა, რომ ყოველმა ადამიანმა თავისი მეცნიერული გზა თვითონ უნდა აირჩიოსო.

ნიკო მუსხელიშვილი გარდაიცვალა 1976 წლის 15 ივლისს თბილისში 85 წლის ასაკში. მისი დაბადების 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე იმდროინდელ თაობას კარგად ახსოვს მისი გამოსვლა. მან, როგორც ყოველთვის, ორატორული ნიჭით წარმოთქვა თავისი სამადლობელი და ბოლოს ხუმრობით დასძინა: ათი წლის შემდეგ შეხვედრამდე ვშორდებითო. სამწუხაროდ, აკადემიკოსის გულისცემა იუბილეოდან ხუთწელიწადში შეწყდა, მაგრამ გენიალური მათემატიკოსის სახელი უკვდავია და ქართველ ერს ყოველთვის ემახსოვრება ნიკო მუსხელიშვილი და მის მიერ გაწეული ღვაწლი.

ანა ჭიჭინაძე



ილია ვეკუა

ილია ვეკუასთან 70-იან წლებში მოსკოვის საავადმყოფოში სანახავად ნაცნობი აკადემიკოსები მივიდნენ. ილიასთვის ყელის არეში ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ, ის კი ხუმრობდა და იცინოდა მეგობრებთან ერთად. ცნობილი აკადემიკოსი ელფთერ ანდრონიკაშვილი გაოცებული იყო: „ხვალ კაცს ხელი უნდა გამოსჭრან და ის კი...“

ილიას მკურნალი ექიმიც გააკვირვებით ამბობდა: „მე ჯერ არ შემხვედრია ავადმყოფი, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ არ ეკითხოსო“. ოპერაციის მეორე დღეს ვეკუამ საწერი კალამი მოითხოვა და შეუდგა წიგნზე მუშაობას.

ამ მონოგრაფიამ „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდებისთვის“, სსრკ სახელმწიფო პრემია მიიღო.

ბოლო რამდენიმე წელს ილიას ლაპარაკი უჭირდა –ჩურჩულით საუბრობდა. სიცოცხლის ბოლო თვეებში კი არც შინიდან გამოდიოდა და არც არავის იღებდა...

ილია ნესტორის ძე ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს. სოფელ შეშელეთში, გალის რაიონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ვეკუამ 1925 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა რომ ისტორიკოსობა სურდა.

1930 წელს ილიამ წარმატებით დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და რეკომენდაცია მიეცა ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩარიცხვისთვის, სწორედ აქ გაიცნო ნიკო მუსხელიშვილმა მისი საუკეთესო მოსწავლე ილია ვეკუა. პროფესორი ნ.მუსხელიშვილი პირველად ილიათი დაინტერესდა მაშინ, როდესაც დიდი მეცნიერი აკრილოვი ვეკუაზე ლაპარაკობდა, ხოლო ილიას მოხსენების მოსმენის შემდეგ თავად დარწმუნდა ახალგაზრდა ასპირანტის უნიკალურ ნიჭსა და შესაძლებლობაში. მათი მეგობრობა სწორედ ამ სემინარიის შემდეგ დაიწყო. ნ.მუსხელიშვილი იხსენებდა, რომ მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ისინი მალევე დამეგობრდნენ.

„ილია ვეკუას ლექციები გამოირჩეოდა ღრმა ცოდნით, ჩამოყალიბებული ლოგიკური აზროვნებით, გამორჩეული ნიჭით, რითაც ვეკუა გამოყოფდა მთავარ მათემატიკურ აზრს, თანმიმდევრული წყობით, მისი მაღალი პროფესიონალიზმის შედეგი იყო ის, რომ მსმენელებს ზუსტად გადასცემდა საგნის მთელს სიღრმესა და სიმაღაზეს” წერს მუსხელიშვილი.

1937 წელს ილია ვეკუამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დრეკადი ტალღების გავრცელება, უსასრულო ფენაში”. იმავე წელს აირჩიეს დოცენტად.

1939 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1940 წელს იგი უკვე პროფესორია. 1940-1944 წლებში ილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანია.

1944 წელს ილია ვეკუა აირჩიეს საქართველოს მეცნიერთა აკადემიის წევრ კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს –აკადემიკოსად. 1944-1947 წლებში ილია იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში. 1947-1951 წლებში– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე. 1950 წელს მან მიიღო სსრკ-ის სახელმწიფო, ხოლო 1963 წელს უმაღლესი–ლენინური პრემია.

1951 წლიდან ის ცნობილმა მეცნიერმა სერგეი ხრისტიანოვიჩმა მიიწვია ცენტრალურ აეროდინამიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. მოსკოვში მუშაობის პერიოდში მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

1952 წელს იგი ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრის პროფესორად აირჩიეს, სადაც 1959 წლამდე იმუშავა.

1958 წელს აირჩიეს სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ახლად დაარსებული ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველ რექტორად. იყო რამდენიმე სოლიდური ჟურნალის რედკოლეგიის წევრი. 1959 წელს კი –სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1964 წელს ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა. მას წილად ხვდა პატივი ორჯერ ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორი 1953 წლის ივლისიდან სექტემბრამდე და 1966 წლის აპრილიდან 1972 წლამდე. უნივერსიტეტში მან დააარსა რამდენიმე ახალი ფაკულტეტი, კათედრა, კაბინეტი, 1966 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობებით აღიჭურვა.

ამ ბაზაზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც ვეკუა იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს ილია ვეკუას სახელი მიენიჭა.

1969 წელს, როგორც გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ილია ნესტორის ძე ვეკუას, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ასევე დაჯილდოვებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით. 1972 წელს ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. მან თავისი მასწავლებელი ნიკო მუსხელიშვილი შეცვალა.

ილია ვეკუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ომარ შუდრა



ევგენი ხარაძე

ე. ხარაძეს შესაშური ბედი დაჰყვა; მას მოუწია მეტად მნიშვნელოვან მოვლენებში მონაწილეობა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების უპირველეს პოზიციებზე დგომა და ქართველი ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბევრი საქმის წამოწყება თუ გასრულება. მთელი თავისი ამოუწურავი ენერჯია, ფიზიკური თუ სულიერი ძალები მან მის საყვარელ საქმეს, საბოლოო ანგარიშით კი ხალხის

სამსახურს შეაღია. მთლიანად და ბოლომდე დაიხარჯა და ამაშია მისი ბედნიერებაც. ხალხმაც ღირსეული პატივი მიაგო მას, თავისი სიყვარულით შემოსა და თავის ყველაზე ძვირფას შვილებს შორის მიუჩინა ადგილი. ამაზე დიდი კი არაფერი არსებობს.

ევგენი ხარაძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მასში ძლიერი იყო როგორც მეცნიერის, ისე, მართლაც გასაოცარ მასშტაბებში – ორგანიზატორის, დიდ საქმეთა მესვეურის ტალანტი. ამიტომ მას მოუწია ბევრ ისეთ პოსტზე მუშაობა, ერთეულებს რომ ხვდენიათ წილად ბოლო საუკუნის ქართულ სინამდვილეში, რადგან ისინი პიროვნებისგან სრულიად არაორდინარულ მართვის უნარს, ენერგიას, სულის სიმაღლეს მოითხოვენ. და თითოეულ ამ პოსტს მან არათუ უბრალოდ გაართვა თავი, არამედ გასაოცარი ელევანტურობით აღასრულა დაკისრებული მისია და სათანადო წრეების და მთლიანად ხალხის სამუდამო სიყვარული და პოპულარობა დაიმსახურა.

ასეთი იყო მისი მუშაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად (1959 – 1966 წლები); მისი ელვარე ტალანტის წყალობით უმაღლესი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ–მასწავლებელთა წრეებში და სანიმუშო რექტორად დარჩა ხალხის ხსოვნაში. ასეთი იყო მისი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, როცა იგი მსოფლიოს ერთ–ერთი უდიდესი მეცნიერის, აკად. ილია ვეკუას მხარდამხარ წარმართავდა მთელი ქართული მეცნიერების უაღრესად ფართო სპექტრის განვითარებას, და შემდეგ – უკვე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე, კიდევ უფრო მაღალი პასუხისმგებლობის ქვეშ, როცა ის იდგა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ერთ–ერთი ყველაზე მოწინავე დანაყოფის, ქართული აკადემიის მართვის პულტთან. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის – მრავალდარგოვანი სამეცნიერო ჟურნალის – მთავარი რედაქტორი და ღირსეულად უძღვებოდა მის გამოცემას.

ბუნებრივია, აკადემიის მართვა, ისევე როგორც უნივერსიტეტის რექტორობა, გულისხმობდა ქართული განათლებისა და მეცნიერული კვლევის ამ უაღრესად მაღალავტორიტეტული კერების სრულფასოვან ურთიერთობას საბჭოთა კავშირისა და მთლიანად მსოფლიოს ანალოგიურ ცენტრებთან, რათა მათ ღირსეული ადგილი სჭეროდათ მსოფლიო

განათლებისა და კვლევის ერთიან სისტემაში, ამას კი სჭირდებოდა ამ კერათა წარმმართველის უმაღლესი ორგანიზატორული ნიჭი, უფართოესი ერუდიცია, სულის დაუღლელობა, ემოციური მზადყოფნა ახალ ფორმათა საძიებლად თუ ასათვისებლად. და ეს თვისებები ე. ხარაძეს უკლებლივ აღმოაჩნდა, რამაც მისი უდიდესი ავტორიტეტი შექმნა.

ამის გარდა ე. ხარაძე წარმართავდა ბევრ სხვა სამუშაოსაც სრულიად საქართველოს მასშტაბით – მაგალითად, იყო წიგნის მოყვარულთა საზოგადოებისა და საზოგადოება “ცოდნის” ერთ-ერთი მესვეური ხანგრძლივი დროის მანძილზე. ასევე დიდი დრო მიჰქონდა ე. ხარაძის მოღვაწეობას სახელმწიფო მართვის ორგანოებში, სადაც ის ყველა თავის უნარს ავლენდა. მაგრამ მაინც სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ე. ხარაძის უდიდესი სასიცოცხლო ენერჯია, ძირითადად, მაინც დაიხარჯა ქართული ასტრონომიის აღორძინების დიდ საქმეში და ამ პიროვნების სულის მამოძრავებელ “სუბსტანციას” ძირითადად მაინც სამყაროს უსაზღვროებაზე ფიქრი და სამყაროს აგებულების კვლევაში წვლილის შეტანის სურვილი შეადგენდა. ამ მხრივ კი ამ პიროვნების ღვაწლი დიდად აღემატება ერთი მკვლევარის, რაგინდ განსაკუთრებულის – წვლილს, რადგან იგი გამოიხატა ასტრონომიული კვლევის მთელი სისტემის შექმნაში საქართველოს მასშტაბით. მოკლედ ამას ქართული ასტრონომიის აღორძინება ჰქვია, კონკრეტულად კი იგი განხორციელდა მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მასშტაბური კერის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის შექმნით, რაშიც ე. ხარაძის წვლილი გამორჩეული და მნიშვნელოვანია, ისევე როგორც, რაც არანაკლებია, ამ ობსერვატორიის მთელი მუშაობის წარმართვით ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, რაც მსოფლიო პრაქტიკაშიც იშვიათობაა.

საკუთარი სამეცნიერო კადრებით ობსერვატორიის უზრუნველყოფის მიზნით ე. ხარაძემ, ცნობილი მეცნიერის, ანდრია ბენაშვილის მიერ ორგანიზებულ ასტრონომიის საწყისთა სწავლებასა და ასტრონომიულ-გეოდეზიურ კაბინეტზე დაყრდნობით შექმნა ასტრონომიის კათედრა და დააფუძნა ასტრონომიის სპეციალობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისციპლინათა ვრცელი სპექტრით. შემდგომში კათედრის წევრებმა მოამზადეს და გამოსცეს სახელმძღვანელოთა სერია ქართულ ენაზე. ათეული წლების მანძილზე ასტრონომიის კათედრა და აბასთუმნის ობსერვატორია ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. სტუდენტები სასწავლო

პრაქტიკას გადიოდნენ და მეცნიერული კვლევის ელემენტებს ითვისებდნენ აბასთუმნის ობსერვატორიაში, ობსერვატორიის თანამშრომლები კი მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პედაგოგიურ პროცესში ლექციების კითხვითა თუ სადიპლომო და საკურსო შრომების ხელმძღვანელობით, ხოლო კათედრის მიერ მომზადებული სპეციალისტები აკმაყოფილებდნენ უმაღლესი სასწავლებლების, კვლევითი ცენტრებისა თუ სკოლების მოთხოვნილებას სამეცნიერო და პედაგოგიურ კადრებზე.

ეგგენი ხარაძემ დიდი ღვაწლი გასწია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვისაც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთადერთი ორიგინალური ასტრონომიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნით. ეს შესანიშნავი ენით დაწერილი წიგნი გაცილებით უფრო ღრმა ინტერესს აღძრავდა მოსწავლეებში, ვიდრე თარგმნილ სახელმძღვანელოს შეეძლო. იგი გამოიცემოდა და იხმარებოდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ე. ხარაძე განუწყვეტლივ ზრუნავდა ობსერვატორიის განვითარებაზე.

XX ს–ის ბოლოს იგი შეივსო ფიზიკის სპეციალისტებით (ჯ. ლომინაძე და სხვ.), რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ვარსკვლავთა ევოლუციის ბოლო სტადიების, კერძოდ, ნეიტრონული ვარსკვლავებისა და შავი ხვრელების კვლევაში.

ე. ხარაძე სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა როგორც კვლევით, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში. მის კალამს ეკუთვნის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ასტრონომიის საფუძვლებში, ზოგად ასტროფიზიკაში, ასტრონომიის ისტორიაში, ვარსკვლავთა სპექტრულ კლასიფიკაციაში და სხვ. მან დააარსა და 30 წელზე მეტხანს რედაქტორობდა ქართულ ყოველწლიურ ასტრონომიულ კალენდარს, რომელიც ამჟამადაც გამოდის; უზარმაზარი შრომა გასწია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12–ტომეულში ასტრონომიის ღირსეულად გაშუქებისათვის, ქმნიდა სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, აქტიურად ეხმარებოდა საშუალო სკოლების, პიონერთა სასახლის, ასტრონომიული კონფერენციებისა და ოლიმპიადების მუშაობას, იყო რიგი სამეცნიერო გამოცემების რედაქტორების წევრი, დიდი წვლილი შეჰქონდა სამეცნიერო ფორუმების მოწყობაში; ეხმარებოდა კოლეგებს, იძენდა ლიტერატურას ობსერვატორიისათვის, ზრუნავდა თანამშრომელთა ცხოვრების მრავალი საჭირობო პრობლემის გადასაწყვეტად, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის პერიოდებში, რითაც მორალურ საყრდენს წარმოადგენდა

სხვებისთვის. მას ჰქონდა მდიდარი სულიერი სამყარო, შემწყნარებელი იყო ადამიანური სისუსტეების მიმართ, ყოველი საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამოდიოდა. ასტრონომიის სწავლების ფორმათა გადარიბება უნივერსიტეტში თუ ასტრონომიული კვლევის მასშტაბების შემცირება ქვეყანაში ეკონომიკური სახის ღრმა კრიზისისა და ზოგ შემთხვევაში მართვის არასწორი მიდგომების გამო, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოხდა, აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ასტრონომიამ, უძველესმა და ამავე დროს უაღრესად თანამედროვე მეცნიერებამ სამყაროს შესახებ, არ უნდა დათმოს პოზიციები არც ერთ დონეზე. ეს იქნება ევგენი ხარაძის – დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნის საუკეთესო დაფასება.

შალვა საბაშვილი



ალბერტ თავხელიძე

1969 წელი. ყველაზე წარმატებული, ე.წ. „კოსიგინის ხუთწლელი“. მოსკოვის ოლქში, ფიზიკოსთა ქალაქის, დუბნის ლამპიონების შუქზე თოვლით გადაპენტილი ქუჩები. მეცნიერთა კლუბის კაფესთან, იქვე მყუდრო, თბილი სამკითხველო დარბაზია, სადაც შეიძლებოდა მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების დათვალიერება (ყოველგვარი ბიბლიოთეკარის გარეშე).

ხელში გაზეთით დავინახე ა. თავხელიძე, სახეზე წითელი ლაქებით, ალბათ დაძაბული სამუშაო დღის გამო. მე, 1966 წლიდან საერთაშორისო

ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის ასპირანტი-ექსპერიმენტატორი, ახალგაზრდული ფამილიარობით მასთან პირველად მივედი და ვთხოვე, რომ დირექციის დახმარებით ეშოვნა ოპტიკური აპარატურის თბილისის უნივერსიტეტში გასაგზავნად... საბარგო მანქანა.

ბუნებრივია, მან უხეშად მიპასუხა. ცნობილია, რომ პირველ შთაბეჭდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.... მას შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მე გავხდი მის მიერვე თბილისში შექმნილი ინსტიტუტის დირექციის წევრი, თავხელიძე ყოველთვის აღმაცერად, ეჭვის თვალთ მიცქეროდა (აპარატურა კი მატარებლით მე მაინც გავაგზავნე).

ალბერტ ნიკიფორეს-ძე (ალეკო) მრავალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელია თეორიულ ფიზიკაში. მის სახელს ატარებს მრავალი ფორმულა და განტოლება. ის საინტერესო აღმოჩენის თანაავტორია, რამდენიმეჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, იყო რუსეთის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საზღვარგარეთის რამდენიმე მეცნიერების აკადემიების წევრი, ლენინური და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რუსეთის და უცხოეთის რამდენიმე ინსტიტუტის საპატიო დოქტორი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ა. თავხელიძემ, როგორც მეცნიერების ორგანიზატორმა, აღზარდა ფიზიკოს-თეორეტიკოსთა მსოფლიოში ცნობილი სკოლა. ის ხელს უწყობდა სამეცნიერო კადრების აღზრდას რუსეთის, საქართველოს, უკრაინის, ბულგარეთის და სხვა წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. იშვიათი შრომისმოყვარე, ენერგიული და ქარიზმატული, ის ნიჭიერი ახალგაზრდობის მფარველი ანგელოზი იყო.

ა.თავხელიძე დაიბადა 1930 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 33 წლის ასაკში სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში დაიცვა. იმ დროს ეს იყო იშვიათი მოვლენა. 1956 წელს ბირთვულ გამოკვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტში (ქ. დუბნა) ის ლაბორატორიის (შემდგომ ინსტიტუტის) დირექტორმა, აკადემიკოსმა ნ.ნ. ბოგოლიუბოვმა მიიწვია.

ალეკო აღმერთებდა თავის ხელმძღვანელს, ნ.ნ. ბოგოლიუბოვს, რომელსაც ყველა გენიოსად, მასწავლებლად, კლასიკოსად თვლიდა: ის 21 წლის ასაკში გახდა მეცნიერებათა დოქტორი, 27 წლისა – კიევის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგე, 1950-53 წლებში კი ა. სახაროვთან ერთად წყალბადის ბომბის გათვლებს აწარმოებდა ზესაიდუმლო არზამას-16-ში (ამჟამად ქ. საროვი), თუმცა, როგორც მორწმუნე, არ იყო სკკპ წევრი...

ნ. ბოგოლიუბოვი მრავალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელია თეორიულ ფიზიკაში, იცოდა ათამდე უცხო ენა, იღებდა ყველაზე მაღალ ხელფასს ქვეყანაში.

დუბნა იმ წლებში ოაზისი იყო მთელს საბჭოთა კავშირში, სადაც განსაკუთრებული მომარაგება, კეთილგანწყობის, დემოკრატიულობის და მაღალი დონის სამეცნიერო ატმოსფერო თანამშრომელთა შემოქმედებით ზრდას ხელს უწყობდა. მაგალითად, ა.თავხელიძეს (თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილეს), ჰყავდა მდივანი – ნ. ისაევა, ძალიან გამოცდილი, რომელსაც ყველაფერი ზეპირად ახსოვდა და ამიტომ, ტრადიციული ქაღალდების გარეშე მუშაობდა. თეორეტიკოსების უდიდესი გონებრივი დატვირთვის გამო კი, ლაბორატორიის მესამე სართულზე იყო კომფორტული (მომსახურე პერსონალის გარეშე) „ყავის ოთახი“ დაფით და ცარციით (დისკუსიებისათვის). იქვე იყო სპეციალური კაფე შოკოლადების და ტკბილეულის დიდი არხევანით.

1970 წელს ა. თავხელიძე გახდა მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი (ქ. მოსკოვი), სადაც შემოიკრიბა რამდენიმე აკადემიკოსი. როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, მან შეარჩია ახალგაზრდა კადრები და შექმნა მსოფლიოში ცნობილი თეორიული ფიზიკის სკოლა. ინსტიტუტმა გააერთიანა კვლევები ასტრონომიის, ასტროფიზიკის, კოსმოლოგიის დარგში. აქ დაიბადა ბუნების შესწავლის ახალი მეთოდი – ნეიტრინული ფიზიკა.

ალეკო დიდი პატრიოტი იყო და გულწრფელად უყვარდა საქართველო. ამიტომ, ერთდროულად მუშაობდა თბილისისთვის კადრების აღზრდაზე, რაც დაგვირგვინდა თსუ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის (1980 წ.) და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში თეორიული განყოფილების შექმნით.

თსუ მაღალი ენერჯიების ინსტიტუტი (დირექტორი –აკადემიკოსი ნ. ამალლობელი), ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში. მის სკოლას მაღლა აყენებდნენ (და აყენებენ) მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

„უბრალოდ, ალეკო დამიძახეთ“ – გაგვაფრთხილა ა. თავხელიძემ დუბნის ქართველთა სათვისტომოში ჯერ კიდევ 60-იან წლებში.

დაქორწინდა გვიან, 37 წლის ასაკში (მეუღლე – მაია მეუნარგია). ცხოვრობდა დუბნაში, ატომური უწყების ორსართულიან სტანდარტულ კოტეჯში, ხოლო მოსკოვში – ლენინის პროსპექტზე.

უჩვეულოდ ენერგიულს და მიზანდასახულს, უკვირდა, როცა მისი კოლეგები შვეებულებაში გადიოდნენ, „კარგავდნენ დროს“ ალპინიზმზე, სამთო თხილამურებზე, ლაშქრობებში...

როგორც კულტურული ადამიანი, არასდროს საუბრობდა ქართულად, თუ ერთ დამსწრეს მაინც არ ესმოდა ენა და ქართველთა გარემოცვაშიც კი ხშირად რუსულად საუბრობდა. „ან მეცნიერება, ან გოგონები, ერთდროულად შეუძლებელია“ – აფროთხილებდა ის მოსკოვში ჩასულ ქართველ ასპირანტებს და ძალიან მკაცრი იყო მათ მიმართ.

ალეკოს არ უყვარდა სუსტი, ხათრიანი ხელქვეითები. მას ასევე არ უყვარდა თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა და ყოველთვის საზღვარგარეთ „ემალებოდა“ მლიქვნელებს.

ალეკოს დახასიათებისას, ადვილია ჩავარდეთ იდეალიზმში, რაც ხშირად ხდება გამოჩენილ ადამიანთა მოგონებებში. მაგრამ, იდეალური ადამიანები არ არსებობენ და ეს უცხოა თვით ალეკოს სახისთვის, თავისი ადამიანური სისუსტეებით.

ვაუკაცურ, ლამაზ, ხმაურიან, იუმორით სავსე, ყველაფერში წარმატებულ ალეკოს, ბუნებრივია, გამოუჩნდნენ მოშურნეები. ნაკლებად ნიჭიერი და ნაკლებად შრომისმოყვარე კოლეგები და ყველა ჯურის ჩინოვნიკები ყოველმხრივ აზვიადებდნენ მის ადამიანურ სისუსტეებს და ბრალს სდებდნენ – ხან „აკადემიური მეურნეობის განიავებაში“, ხან – „სამეცნიერო მაფიის შექმნაში და სამეცნიერო ფეოდალიზმში“, ლამაზი ქალებით გატაცებაში, და იმაშიაც კი, რომ ის... „მაინც ქართველია“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ა. თავხელიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1986-2005 წწ.), ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (ქ. მოსკოვი), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (ქ. დუბნა), კათედრის გამგე ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში. ცხოვრობდა მისი საყვარელი მოწაფეების – აკადემიკოსების, დიდი ინსტიტუტების ხელმძღვანელების (სისაკიანი, მატვევი, რუბაკოვი, კადიშევსკი და სხვ.) გარემოცვაში.

ალეკო, თბილისის, თელავის, ბაღდადის და ტროიცკის საპატიო მოქალაქე, გარდაიცვალა 2010 წელს, 79 წლის ასაკში. დაკრძალულია მოსკოვში.

ალეკო დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერება ინტერნაციონალურია, ის თავის თავს არ თვლიდა არც რუს და არც ქართველ ფიზიკოსად და თავის

ინტერვიუში ხშირად ახსენებდა ა. ჩეხოვის სიტყვებს: „გამრავლების ნაციონალური ტაბულა არ არსებობს“.

ომარ შუდრა



ნოდარ ამაღლობელი

დოც. გივი ქანთარიაშვილი (კიბერნეტიკის კათედრის გამგე), 1964წ. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ვესტიბიულში გამაცნო ნოდარ ამაღლობელი, 40 წელი მასთან ერთად გავატარე. მე ნ. ამაღლობელს ვიცნობდი, როგორც ფიზიკის ფაკულტეტზე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის განყოფილების გამგეს, პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს, ინსტიტუტის დირექტორს, უნივერსიტეტის პრორექტორს, რექტორს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პარლამენტის მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და, ბოლოს, ამავე კომიტეტის თავმჯდომარეს.

მე მისგან ისე დიდად ვარ დავალებული, რომ ადვილია გავაიდვალო იგი, რასაც ხშირად ვხვდებით ხოლმე გამოჩენილ ადამიანთა მოგონებებში. ასეთი კანონიკური სახე ძალზე უცხოა თვით ჩვენი „შეფისთვის“ (როგორც მას ვუწოდებდით თანამშრომლები). ის იყო ტემპერამენტიანი და მებრძოლი, ამასთან

ადამიანისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებითა და სისუსტეებით. სწორედ მისი ნატურის ეს შენადნობი ქმნის ცოცხალ ჩაუმქრალ სახეს...

მის ძირითად თვისებებს უნდა მივაკუთვნოთ საქართველოს სიყვარული და აქედან გამომდინარე, ძლიერი მიზანსწრაფვა, უშრეტი ენერჯია, შინაგანი სიძლიერე, საქმისათვის თავდადება. მასზე თითქმის არაფერს წერდნენ სიცოცხლის პერიოდში, ამიტომ მინდა, ზოგი რამ მოვიგონო ჩვენი ერთად მუშაობიდან.

1964წ. ნ. ამაღლობელს თსუ ფიზიკის ფაკულტეტის პირველ სართულზე ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში ერთი პატარა ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. მას ყველა პატივისცემით ექცეოდა. მიუხედავად ასაკისა (33 წლის იყო), ჩამოყალიბებული პიროვნება გახლდათ. ჩვენ, 23-24 წლის თანამშრომლებს, გვინერგავდა პროფესიონალიზმს. მას ყველანი უბრალოდ, სახელით მივმართავდით (ისევე როგორც ალექო თავხელიძეს).

ამ წლებში აღფრთოვანებული ვიყავი ნ. ამაღლობელის წესიერებით და პატიოსნებით. ერთხელ, მეზობელი ლაბორატორიის გამგემ ნოდარ გვიღავამ, რომელთანაც ნ. ამაღლობელის მეუღლე მერი გეთია მუშაობდა, იგი ჩვენს ლაბორატორიაში რადიონაწილების „სასესხებლად“ გამოგზავნა. ნ. ამაღლობელი არ იყო და რასაკვირველია, „შეფის“ მეუღლეს, ყველაფერი გავატანეთ, რაც სჭირდებოდა.

როგორც შემდგომ მ. გეთია ჰყვებოდა, როცა ეს ამბავი შინ გვიან დაბრუნებულმა ნოდარმა გაიგო, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები დახვდა, არ მოერიდა და მაგრად იხსუბაო.

„ასე ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ როგორაა მომართული“, „აფერისტებისაა ეს ცხოვრება“, „სოციალიზმის ფორმულა გარკვეულ ეტაპზე ადამიანის მაღალ ზნეობას მოითხოვს“, „წესიერებას და კულტურას სისუსტეში მითვლიან“ – ხშირად უთქვამს ჩემთვის.

საერთოდ, აღსანიშნავია ჩვენი კოლექტივის საერთო ატმოსფერო და მისი მორალურ-ეთიკური საფუძველი – დემოკრატიული სული. იშვიათად მინახავს ლაბორატორიის გამგე, ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც ნებისმიერი ახალგაზრდა თანამშრომელი საკმაოდ მწვავედ ეკამათებოდა...

1985 წლის ივნისში, ნოდარი რექტორად წარადგინა საქ. კომპარტიის ცკ მდივანმა გურამ ენუქიძემ. იმ დღეს ჩვენ, დირექცია, ჯემალ ბაკაშვილის მანქანით პირველი კორპუსიდან ინსტიტუტში ვბრუნდებოდით. უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში სახელაქწილი ნოდარის გარშემო საერთო აუიოტაჟისა და

ტაშის გრილის მიუხედავად, ჯ. ბაკაშვილმა დელიკატურად ჩაილაპარაკა: მე მეეჭვება, რომ ნ. ამაღლობლის ჯანმრთელობამ ასეთ მიმე ტვირთს გაუძლოს. მეც დავეთანხმე. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ასეც მოხდა.

1988წ., ნ. ამაღლობელმა საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად წარადგინა თავი (საბუთები მე გამატანა ჩასაბარებლად). მისი კონკურენტი იყო კარგი მეცნიერი, თანაკურსელი თენგიზ სანაძე.

ნ. ამაღლობელის რექტორობის პერიოდი (1985-91წწ.), დაემთხვა გორბაჩოვის „პერესტროიკის“ რთულ პერიოდს. დღესაც თვალწინ მიდგას (იმ დროს დისიდენტი) ზვიად გამსახურდია, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში, მიტინგზე, უცხოელ კორესპონდენტებს ადმინისტრაციასთან შეხლა-შემოხლის შედეგად გარღვეულ პიჯაკს აჩვენებდა. აღელვებული ნოდარი კი, რომელიც კართან, შეამდლებულზე იდგა, მოუწოდებდა ეგზალტირებულ ახალგაზრდობას: „ჩამოდით წმინდა საფლავეებიდანო...“

ბუნებით მორიდებულ ნ. ამაღლობელს ასეთ მღელვარე წლებშიც მუშაობის თავისი სტილი ჰქონდა: არასდროს მდივანს ზარით არ გამოიძახებდა, თვითონ გამოვიდოდა კაბინეტიდან და ისე აძლევდა დავალებას. კადრების განყოფილებაში გაოცებული იყვნენ, რომ მათთან საქმეზე თავად რექტორი შედიოდა. ჩვენი ინსტიტუტის კანცელარიის გოგონებთან სელექტორით საუბრისას აუცილებლად ეტყოდა: „ამაღლობელი გაწუხებთ...“

რექტორატში „ჭრელ ხალხთან“ ურთიერთობით გადაღლილი, საღამოს 5-6 სთ-ზე ინსტიტუტში შემოვივლიდა, ძაღლის საჭმელს, კონსერვს, ძვლებით სავსე პარკს თავისი ხელით გახსნიდა ხოლმე... ეტყობა, ჩვენი კავკასიური ნაგაზის ერთგულებით სულიერად ისვენებდა. არ უყვარდა, როცა ამ დროს მე, როგორც დირექციის წევრი, მოსკოვის ჩინოვნიკების მიერ გამოგზავნილ (ყოველთვის უაზრო) ქაღალდებით მივადგებოდი, ან საქმეზე ვესაუბრებოდი ხოლმე.

საერთოდ, დასვენების რომელიმე აქტიურ ფორმაზე, როგორცაა ალპინიზმი, თხილამურები და სხვ., დროს არ კარგავდა. ისე, სპორტი ყოველთვის უყვარდა. ახალგაზრდობაში (რ. სალუქვაძესთან ერთად) კალათბურთს თამაშობდა, შემდეგ ფრენბურთმა გაიტაცა და რექტორობის დროსაც კი, უნივერსიტეტის დარბაზში, საღამოობით ფრენბურთს თამაშობდა. მის კაბინეტში ყოველთვის იყო სპორტული ფორმა. „ოფლი თუ არ გამოიღინე, ისე არაფერი გამოვა,“ – უთქვამს ჩემთვის.

სუფრაზე კი, როგორც თვითონ ამბობდა, „ფილოსოფია“ უყვარდა. სასმელის შემდეგ, რატომღაც, რომელიმე თანამშრომელი მისი მსუბუქი ირონიის და გაკენწვლის მსხვერპლი ხდებოდა.

ზ. გამსახურდიას წასვლის შემდეგ ნოდარი პარლამენტის მეცნიერების და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. თავმჯდომარის – რ. მიმინოშვილის გარდაცვალების შემდეგ კი – კომიტეტის თავმჯდომარე.

„აფხაზეთის ომი“ რომ დაიწყო, ნ. ამაღლობელი ინსტიტუტის გზაზე შემხვდა. რაღაც ვიგრძენი ინსტიტუტურად და საღმის შემდეგ გავეჩერდი. „აჩიკო ომში წავიდა“ - მომახალა. „ეს როგორ, მერე... თქვენ გაუშვიო?“ – გამიკვირდა. „აბა, რა მექნა... დამარწმუნეს ბიჭებმა...“

მალე რევაზ სალუქვაძის ვაჟმა – ზაზამ თვითმფრინავით აჩიკო და პროფესორ გურამ დოლიძის შვილი – მალხაზი ჩამოასვენა.

ამაღლობელის პირად ტრაგედიას ბევრი იყენებდა და ფაქტობრივად, მასზე ცუდ ზემოქმედებას ახდენდა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი „შეფი“ არ იყო მოკლებული ადამიანურ სისუსტეებს. მისთვის უცხო არ იყო პატივმოყვარეობა, ზედმეტად აფასებდა თანამდებობებს. ზოგჯერ კი ძალზე რბილი და დამთმობი იყო, რაც ხშირად მისი მოწაფეების უკმაყოფილებას იწვევდა...

2003 წელს ნ. ამაღლობელს ფილტვის კიბოს დიაგნოზით ნახევარი ფილტვი ამოკვეთეს. მაინც მსხედ გამოიყურებოდა. გახარებული იყო, რომ მიიღო კანონი მეცნიერ მუშაკთა პენსიებზე. ეს კანონი ახალმა მთავრობამ ერთ წელიწადში გააუქმა.

ბოლო წლებში ტრადიციასავით დამკვიდრდა, რომ 2-3 თვეში მის კაბინეტში უნდა მივსულიყავი და ერთგვარი ანგარიში ჩამებარებინა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა პარლამენტში უნდა შემდგარიყო პარასკევს, 2004წ. 1 აპრილს, შუადღის 12სთ-ზე.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მომეჩვენა, რომ ის გრიპის გართულებისგან თუ კიბოს მეტასტაზებისგან ხმაწართმეული, ყველა კარიერისტისგან მიტოვებული, გულგატეხილი იყო. როგორც ყველა ხანდაზმული, ვიღაცაზე და რაღაცაზე ნაწყენი იყო. „ყველაფერზე ნერვიულობს,“- მითხრა გულისტკენით სამდივნოს ხნიერმა ქალმა.

მისი სადებუტატო ვადა გასული იყო, თუმცა კაბინეტიდან ჯერ არ გამოდიოდა. დღე-დღეზე გასაღები უნდა ჩაებარებინა. ეტყობოდა, ამასაც განიცდიდა. იმავე დღეს 17სთ-ზე უნივერსიტეტში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში

თანამშრომელთა შეკრებაზე მისულა, სადაც უნივერსიტეტში მეცნიერების ე.წ. „რეფორმის“ პროექტზე აველინა დავითულიანი (აკად. თენგიზ სანაძის მეუღლე) საუბრობდა. ეს მისი ბოლო კრება იყო. აქაც გულისტკენა...

კვირას შინ სტუმრები ჰყოლია, შემდეგ მის მოადგილესთან, ბადრი ჭილაძესთან შეთანხმებულია ორშაბათს ინსტიტუტში შეხვედრაზე.

ორშაბათ დილას კი საავადმყოფოში წაუყვანიათ ინსულტის დიაგნოზით. კვირას, გვიან საღამოს, ნ. ამალლობელი გარდაიცვალა.

დაბოლოს, ამალლობელის ადამიანური სისუსტეები ვერ გადაფარავს მის უდიდეს ნებისყოფას (რაც სახეზეც ეტყობოდა), სამეცნიერო-ორგანიზაციულ და განსაკუთრებით, სტრატეგიულ ნიჭს. მან ჩვენს რესპუბლიკაში, სუსტი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის (ყოველ შემთხვევაში, ექსპერიმენტულ ფიზიკაში) მიუხედავად, შეძლო სამეცნიერო კვლევების ორგანიზაცია და კვალიფიციური კადრების მომზადება.

საერთოდ, ნოდარი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი კადრების აღზრდას, მომარაგებას, რეზერვებს. მისი გონება ყოველთვის 5-7 წლით უსწრებდა რეალობას. მუშაობაში მას შეეძლო გამოეყო ძალისხმევის მთავარი მიმართულება. ჩვენც ამას გვასწავლიდა.

მე ამალლობელის მოწაფე ვიყავი და ბევრი რამ ვისწავლე მისგან. წლების განმავლობაში მისი პიროვნების შარმის ქვეშ ვიყავი. მისი სახე, თვალები, რაღაც შინაგანი სინათლით იყო გასხივოსნებული და რწმუნდებოდა, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია, დიდი ინტელექტით. მაღალი, წარმოსადგეი ნოდარი გამოირჩეოდა ადამიანებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით, მუდამ ფიქრობდა და ზრუნავდა მრავალი ადამიანის ბედზე. ის ორჯერ მიიწვიეს აშშ-ში ექსპერიმენტებში სამუშაოდ, მაგრამ ჩვენ ვერ დაგვტოვა...

უაზრო აკრძალვების ჩარჩოებში შეუძლებელი იყო საქმის კეთილსინდისიერად კეთება, რომ კანონი არ დაგერღვია. „ყველა ინსტრუქცია რომ შეასრულო, მაშინ არაფერი არ უნდა აკეთო“ – ამბობდა ნ. ამალლობელი. ეს ხომ ძველი სიუჟეტია – კარგი ადამიანი ძნელ ადგილზე, მძიმე წლებში. უნდა გავუგოთ, როგორ უჭირდა მას.

ახლა, როცა გავიდა წლები, ხედავ, რომ მისი „სუსტი წერტილები“ შედეგი იყო უზომოდ გაზრდილი პიროვნებისა, რომელმაც ჩვენი ცხოვრებით ნაკვებ ასთავიან ურჩხულთან ბრძოლაში, ადამიანებს ძალზე გაუსწრო, ხოლო შინაგანი მარტოობისა და ტკივილისაგან ნიჰილიზმი განუვითარდა...

როგორც სჩანს, ნიჭიერ და პატიოსან ადამიანს ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის პირობებში (კარიერის მწვერვალს მიღწეულსაც კი), არ შეუძლია ქვეყნისათვის (და არა მისთვის) ძალის საჭიროს, ჩაფიქრებულის რეალიზაცია. მაგრამ შეუძლია, პრინციპში, შეინარჩუნოს სუფთა ხელები და წავიდეს ღირსეულად, შესაძლოა იმ იმედით, რომ მას შთამომავლობა დააფასებს, მაგრამ უფრო ხშირად, ამ იმედის გარეშე...

ომარ შუდრა



კირილე შოლოკინი

ჩემი თაობის თბილისელებს ალბათ ახსოვთ, რომ 1982 წლის მარტში, თითქმის მეოთხედი საუკუნის დაგვიანებით, ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ პროსპექტზე, ფიზიკის ინსტიტუტის წინ დადგეს სამგზის სოციალისტური შრომის გმირის – კირილე შოლოკინის ბიუსტი (ავტორი გ. თოიძე, არქიტექტორი – გ. ჩიჩუა).

ორგზის შრომის გმირებს მაშინ ხელისუფლება ძეგლს უხსნიდა იმ ქალაქებში, სადაც დაიბადნენ. კირილე „თბილისელი ბიჭი“ იყო (მამადავითთან ცხოვრობდა), ამიტომ ძეგლი დედაქალაქში დაიდგა. მის გახსნას დაესწრნენ

სტუმრები: ოჯახის წევრები, რამდენიმე აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ქალაქის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. როგორც მიღებულია ამ დონეზე, იყო ბანკეტიც.

ძეგლის გახსნას მოსახლეობა გულგრილად შეხვდა. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის გამოცოცხლების წლებში ტელევიზიაში რამდენჯერმე გაიჟღერა სიუჟეტმა, სადაც კორესპონდენტი ეკითხება გამვლელებს: „იქნებ იცით, ვისი ძეგლია?“ პასუხად კი ისმოდა: „არ ვიცით, ალბათ ვინმე სამხედროსი“... ამ სიუჟეტის „ლოგიკური გაგრძელება“ იყო 2009 წლის ნოემბერში ძეგლის გაუჩინარება დაუდგენელ ვითარებაში...

მაინც, ვინ იყო კ. შჩოლკინი? ის დაიბადა თბილისში (როგორც ადრე უწოდებდნენ – ტიფლისში) 1911 წლის 17 მაისს, მიწათმზომის (ტოპოგრაფის) ოჯახში. მამა სმოლენსკის გუბერნიიდან იყო. მალე ოჯახი გადავიდა სმოლენსკში, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ (მამის ავადმყოფობის გამო) – ყირიმში.

1932 წელს კირილე ამთავრებს სიმფეროპოლის პედაგოგიურ ინსტიტუტს და, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, ნიშნავენ საშუალო სკოლის დირექტორად. მაგრამ ის უპირატესობას აძლევს ლენინგრადის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობას, ნ. სემიონოვის (მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატის) ხელმძღვანელობით.

1945 წლის აგვისტოში, აშშ მიერ იაპონური ქალაქების ატომური დაბომბვიდან ორიოდე კვირის შემდეგ, მოსკოვში შეიქმნა სპეცკომიტეტი ლ. ბერიას თავმჯდომარეობით, საბჭოური ბომბის შესაქმნელად. სპეცკომიტეტი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა... თავდაცვისა და საგარეო საქმის მინისტრებსაც კი.

აკადემიკოს ი. კურჩატოვის წინადადებით და ი. სტალინის რეკომენდაციით, 35 წლის შჩოლკინი, როგორც წვის და დეტონაციის სპეციალისტი, შევიდა მეცნიერთა იმ თორმეტკაციან ჯგუფში, რომელმაც დაიწყო მუშაობა ატომურ ბომბზე. კ. შჩოლკინის დამსახურებაა, ბომბი რომ 1949 წელს შეიქმნა, დაგეგმილზე რამდენიმე თვით ადრე. მისმა გამოცდამ 29 აგვისტოს მსოფლიო პოლიტიკაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა.

„ცივი ომის“ საწყის ეტაპზე ქვეყანა გადაარჩინა დეზინფორმაციამ, რომ საბჭოთა კავშირს დიდი ხანია აქვს ატომური მუხტები. სინამდვილეში კი ჩვენ გვქონდა ერთი ბომბი, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს – 150...

1953 წელს ატომური და წყალბადის იარაღის შექმნისათვის კ. შოლკინი, ა. სახაროვი და სხვები ხელმეორედ დაჯილდოვდნენ შრომის გმირების წოდებით. შემდგომში, ამ იარაღის გაუმჯობესებისათვის შოლკინი ამ წოდებით მესამედ დააჯილდოვეს.

1958 წელს მეცნიერთა ჯგუფმა (სადაც შედიოდა კ. შოლკინი და მისი ვაჟი). მიიღო ქვეყნის ყველაზე საპატიო, ლენინური პრემია. წარდგენილთა შორის იყო მათი მინისტრის მოადგილე, რომელიც შოლკინმა ამოიღო სიიდან. მალე მოადგილე გახდა მინისტრი... 30 წლით. ეს თამამი, პრინციპული ნაბიჯი შოლკინს ორმოცდაოთხწლიან შერისხვად დაუჯდა.

საერთოდ მას, საქმით გატაცებულს, ბიუროკრატიისადმი უცერემონიო დამოკიდებულება ახასიათებდა. თავისი ქცევის მანერით, პრიმიტიული ჩაცმის სტილით, ის ხშირად ადამიანებში უარყოფით ემოციებს იწვევდა...

კ. შოლკინს გულის შეტევები დაეწყო. მას აუკრძალეს მის მიერვე შექმნილი ჩელიაბინსკის ბირთვულ-სარაკეტო ცენტრში შესვლა (სხვათა შორის, იქ 1956-1958 წლებში მეუღლესთან ერთად მუშაობდა ჯუმბერ ლომინაძე, მომავალში აკადემიკოსი. ეს მან შეარჩია თბილისში ბიუსტის ადგილი, მისი მეუღლე კი წლობით უვლიდა იქვე მდებარე სკვერს).

შოლკინი გადავიდა მოსკოვში და დაიწყო იქ ლექციების კითხვა. მას არ მიანიჭეს აკადემიკოსის წოდება, დაუნიშნეს მინიმალური პენსია, არ აღუნიშნავთ მისი არც ერთი იუბილე, ხოლო მისი ბიუსტის გახსნა გააჭიანურეს ოცი წლით.

სულ რამდენიმე წელია, შოლკინის შრომებმა ღირსეული შეფასება დაიმსახურა. მისმა ვაჟმა გამოსცა წიგნი მამაზე, რამდენიმე ქალაქში დაიდგა მისი ძეგლი, ყირიმში კ. შოლკინოში მისი სახელი მიანიჭეს ატომურ ელსადგურს. აღინიშნა მისი 90 და 100 წლის იუბილეები.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (შვეიცარიის დახმარებით) მოითხოვა თბილისში ძეგლის დანგრევის მიზეზების გარკვევა.

ორიოდე წლის წინ კ. შოლკინის ხელმძღვანელობამ მოითხოვა ქალაქის სახელის შეცვლა... კაზანტიპით. თბილისში დაბადებულ და მონათლულ, ამ

პრინციპული და ზნეობრივი ადამიანის ირგვლივ, რომელმაც კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომისაგან იხსნა, საოცარ მოვლენებს ბოლო არ უჩანს.

ომარ შუდრა



ვლადიმერ კეკელიძე

შვეიცარია. უნევა – სიწყნარით, სიმშვიდით ცნობილი ქალაქი. იქვე ხუთ კილომეტრშია ცერნი – ბირთვულ გამოკვლევათა ევროპული ორგანიზაცია, სადაც 10 ათასი მეცნიერი მუშაობს (ძირითადად, თავიანთ ქვეყნებში). აქ არსებული სამყაროს ლაბორატორიულ „სინჯარაში“ მოთავსებით, მიკროსკოპული ზომის, ხელოვნურ „შავ ხვრელებზე“ დაკვირვებით, ცდილობენ დაადგინონ, არსებობენ თუ არა „ავადსახსენებელი“ პარალელური სამყაროები, პარალელური განზომილებები... უპასუხოდაა დატოვებული უამრავი კითხვა: ჩვენს სამყაროში მატერიის რაოდენობა 4.8 პროცენტს არ აღემატება. რას წარმოადგენს დარჩენილი „შავი მატერია“ და „შავი ენერჯია“? ადამიანის შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკების წონა სულ ერთი გრამია, ჯამური მოცულობა კი პატარა სათითეს არ აღემატება... დანარჩენი ყველაფერი ილუზიაა? სამყაროს გარდა რატომ არ არსებობს ანტისამყაროც? ფილოსოფოსებს ვერ გაურკვევიათ თუნდაც, რატომ არსებობს სამყარო (მეცნიერები მხოლოდ იკვლევენ – რას წარმოადგენს ის). ასეთი კითხვები უამრავია.

შვეიცარია-საფრანგეთის საზღვარზე, ალპებში, 2010 წლიდან მუშაობს მსოფლიოში უდიდესი, ზეგამტარ მაგნიტებზე (მინუს 271°C) აწყობილი, მძიმე ნაწილაკების შემხვედრი ნაკადების შემაჯახებელი (LHC კოლაიდერი). 27 კილომეტრიან წრიულ გვირაბში, რომლის სიღრმე მიწაში ზოგან 175 მეტრს აღწევს, წამში 10 ათასი ბრუნვის (თითქმის სინათლის) სიჩქარით ორ მილში მოძრავი პროტონები ერთმანეთს ამუამად რეკორდული, 14×10^{12} ელ. ვოლტის ენერჯიით ეჯახებიან.

შეჯახებაზე დაკვირვებისათვის ასევე მასშტაბური, 5 სართულიანი სახლის ზომის, საერთო ჯამში 24 ათას ტონამდე წონის ხელსაწყოები

(დეტექტორები) გამოიყენება. თითოეულ დეტექტორზე 3 ათასამდე მეცნიერი მუშაობს.

ცალკეა თანამედროვე კომპიუტერული ცენტრი 7 ათასი კომპიუტერით (პირველი ინტერნეტი, ძირითადად, აქ დაინერგა) და კოლაიდერის მართვის ცენტრი. ექსპერიმენტი რომ ჩაატაროს, ფიზიკოსმა ორი ქვეყნის საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ამ ცენტრებს შორის კი თხუთმეტიოდე კილომეტრია...

ჟენევის კოლაიდერზე 8 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. მისი ტექნიკა 12 ათას ამპერ დენს მოითხოვს. ზეგამტარი მაგნიტების გაცივებაზე 10 ათასი ტონა თხევადი აზოტია საჭირო. წლის განმავლობაში დაგროვილი ექსპერიმენტული ინფორმაციის მოცულობა 10^9 მეგაბაიტს აღწევს, რომლის დამუშავებისათვის თანამედროვე მსოფლიო ქსელი (ბროდ) გამოიყენება. აქ ხელფასებიც მასშტაბურია: თანამშრომელთა ანაზღაურება რამდენიმე ათასი ევროა, მოწვეული პროფესორის კი 15 ათასი...

აქ დიდხანს მუშაობდა (და ახლაც ატარებს ექსპერიმენტს) ჩვენი თანამემამულე ვლადიმერ კეკელიძე.

ვლადიმერი (ვოვა) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1965-1970 წლებში სწავლობდა. ცხოვრობდა საბურთალოზე, თსუ მაღლივ კორპუსთან. მე დუბნის (მოსკოვის ოლქი) საერთაშორისო ცენტრიდან, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავი. უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე ვმუშაობდი და ასპირანტურაში ჩემს შემცვლელს ვეძებდი. როგორც ფიზიკის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტზე, დეკანატის დახმარებით, არჩევანი ვოვა კეკელიძეზე გავაკეთე, მაგრამ როცა შინ დავურეკე, სატელეფონო ხუმრობად მიიღო და ... ყურმილი დამიკიდა. ლაბორატორიის გამგის, ნოდარ ამადლობელის (მომავალი აკადემიკოსის, უნივერსიტეტის რექტორის) დახმარებით ვოვა მივაველინეთ ქ. დუბნაში – ჯერ როგორც ასპირანტი, შემდეგ კი – მეცნიერ-თანამშრომელი. ვლ. კეკელიძემ 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 40 წლის ასაკში – სადოქტორო დისერტაცია. 20 წლის განმავლობაში თსუ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, შემდეგ შესთავაზეს დუბნაში ლაბორატორიის დირექტორის მოადგილეობა. უკვე 20 წელია ის ერთ-ერთი დიდი ლაბორატორიის (ფაქტობრივად, ინსტიტუტის) დირექტორია. საერთოდ, დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტში ამჟამად 6 ათასი თანამშრომელია (აქედან 1200 – მეცნიერ-მუშაკია), ინსტიტუტის ბიუჯეტი კი 200 მლნ დოლარს აღწევს. ასეთი „ნაუკოვრადი“ რუსეთში სულ რამდენიმეა.

ვლ. კეკელიძეს მეცნიერ-ორგანიზატორის ნიჭი აღმოაჩნდა: ის ხელმძღვანელობდა საერთაშორისო თანამშრომლობას (ექსნარმი), ცერნ-ის პროექტს (16 ინსტიტუტი, 8 ქვეყანა), იყო უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი, რუსეთის ეკონომიკური განვითარების კომიტეტის წევრი, არის პლოვდივის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ვლ. კეკელიძე 250-მდე გამოქვეყნებული შრომის ავტორია. მას მიღებული აქვს დუბნის საერთაშორისო ინსტიტუტის 10 პრემია. მიუხედავად ასეთი აღარებისა, ვოვა ძალიან უბრალოა ურთიერთობებში, და საერთოდ, კარგი ადამიანია.

ჟენევის კოლაიდერზე შეისწავლიან მსოფლიო სამყაროს შექმნის მომენტს – სივრცის გაწვლვას („დიდ აფეთქებას“), ამიტომ დუბნაში დაიწყო ზეგამტარული კოლაიდერის (NICA) მშენებლობა, რომელიც „დიდი აფეთქების“ შემდგომ მოვლენებსაც შეისწავლის. ვლ. კეკელიძე ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია (26 ქვეყანა, რუსეთის 60 ინსტიტუტი). პროექტის ღირებულება 500 მილიონი დოლარია. ის სრულ სიმძლავრეს 2023 წელს მიაღწევს. თუმცა, ექსპერიმენტები უკვე 2019 წელს დაიწება. გარდა წმინდა მეცნიერული დანიშნულებისა, ხელსაწყოს პრაქტიკული გამოყენებაც ექნება, კერძოდ, შეისწავლიან კიბოს მკურნალობის ახალ მეთოდებს, რადიაციის ზეგავლენას ელექტრონიკის მუშაობაზე (კოსმოსური გაფრენებისათვის) და სხვ.

რაც შეეხება ჟენევის კოლაიდერს, რომლის ექსპერიმენტებში გაერთიანებული ქართული ჯგუფია ჩართული (35-მდე კაცი), ის კიდევ 20 წელი იმუშავებს. მასზე უკვე აღმოაჩინეს ბოლო ელემენტარული ნაწილაკი (რომელიც ძნელი საპოვნელი იყო). ამით დამტკიცდა ფიზიკაში არსებული თეორიული („სტანდარტული“) მოდელის ჭეშმარიტება, რაშიც 2013 წელს, 80 წელს გადაცილებულმა ინგლისელმა პიტერ ჰიგსმა ნობელის პრემია მიიღო.

ამჟამად მუშავდება პროექტი, რათა კოლაიდერზე (2034 წელს) შეჯახების ენერგიამ 14 ნაცვლად 100×10^{12} ელ. ვოლტს მიაღწიოს. ამისათვის, საჭირო იქნება გვირაბის სიგრძე გაიზარდოს... 100 კილომეტრამდე. ფანტასტიკურ მანძილზე, თითქმის ისე, როგორც ცნობილ ქართულ ფილმშია ნახსენები – „ბომბიდან ღონღონამდე...“

ომარ შუდრა



მიხეილ ჭიაურელი

მოსკოვი... სტალინის აგარაკი კუნცევოში... თოვს... წვეულებიდან გამოსულმა ქართველმა რეჟისორმა, რომელიც ფილმ „ბერლინის დაცემას“ იღებდა, ჩაცმისას გასახდელიდან, ყველასგან შეუმჩნეველად, „მოიპარა“ სტალინის ქუდი... მას მალე მიაგნეს... ლავრენტი ბერიამ მოსკოვში დაიბარა ჩვენი რესპუბლიკის პირველი პირი კანდიდ ჩარკვიანი (ცნობილი საზოგადო მოღვაწის – გელა ჩარკვიანის მამა) და კარგად „შეახურა“. თბილისში დაბრუნების შემდეგ შეშინებულმა კ. ჩარკვიანმა გამოიძახა რეჟისორი და უარესი დღე დააწია. ყველა საშინელ სასჯელს ელოდა, თუმცა გულზე მოეშვათ, როცა გაიგეს, რომ სტალინმა ეს ყველაფერი ხუმრობაში გაატარა (და მერეც ოხუნჯობით იხსენებდა).

ეს გაბედული კონორეჟისორი გახლდათ მრავალმხრივ ნიჭიერი ხელოვანი მიხეილ ჭიაურელი (სოფიკო ჭიაურელის მამა), რომელსაც სტალინი განსაკუთრებული პატივისცემით ანებივრებდა. როგორც აღმოჩნდა, ქუდი რეჟისორს სჭირდებოდა ფილმისთვის, რომელშიც მსახიობი ალ. გომელაური ფინალურ სცენაში სტალინის როლს (სწორედ ამ ქუდით) ასრულებდა.

უაღრესად საინტერესო პიროვნება, მიხეილ ჭიაურელი გახლდათ რეჟისორი, რომლის შემოქმედებაც, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად განსაზღვრულია დროის ფაქტორით. „კარგად გრძნობდა დროს და ეხმაურებოდა დროის მოწოდებას, მისი სტიქია თანამედროვეობა იყო“ – წერს ცნობილი კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე. ჭიაურელზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, XX საუკუნის 20-30-იან წლებში შემოქმედებით არენაზე გამოსულ პირველი თაობის კინორეჟისორთა უმრავლესობას, აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

მიხეილ ჭიაურელი იყო პროფესიონალი მსახიობი, თეატრის გამოჩენილი რეჟისორი, ნიჭიერი მხატვარ-მოქანდაკე, თბილისში მუსკომედიის თეატრის შემქმნელი, ქართული ხალხური შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე და სახელმოს-

ვეჭილი კინორეჟისორი. ძნელია ჭიაურელის დეაწლისა და ამაგის განსაზღვრა ხელოვნების ამა თუ იმ დარგში. უმჯობესია მის სიტყვებს დავეთანხმეთ, რომ ის მოვიდა ამქვეყნად „როგორც მხატვარი სიკეთისათვის, სიხარულისთვის, წარსულისა და აწმყოს წარმოსადგენად“.

როგორც ამბობენ, ნიჭიერების იშვიათი საგანძური ხშირად სწორედ გლეხთა „აფრენილ ბუდეში“ მოიპოვება. მიხეილ ჭიაურელიც ერთ-ერთი ასეთი თვითნაბადი მარგალიტია. დაიბადა 1894 წლის 6 ნოემბერს თბილისში. იგი მეხუთე შვილი იყო ედიშერ ჭიაურელისა და სოფიო სონდულაშვილის მრავალშვილიანი ოჯახისა.

მიხეილიც პირველდაწყებით სკოლაში შეიყვანეს. ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ნიჭი და სიყვარული მასში ბავშვობიდანვე აღმოაჩინეს. ამიტომ შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ მისი ყოველი მისწრაფების დაკმაყოფილებას. ალბათ, იშვიათია ისეთი ხელოვანი, რომელიც ისე სრულყოფილად ფლობდეს სახვით, მუსიკალურ, თეატრალურ და კინოხელოვნებას, როგორც მიხეილ ჭიაურელი. თუმცა კი, აღსანიშნავია, რომ თითქმის არც ერთ მათგანში სპეციალური პროფესიული განათლება არ მიუღია. როგორც ჩანს, იგი დეთისგან მომადლებული ნიჭით იყო დაჯილდოებული.

პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ჭიაურელი მშობლებმა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში შეიყვანეს.

სახელოსნო სასწავლებელში მიხეილ ჭიაურელი კარგად სწავლობდა. პედაგოგებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ ჰქონდა კარგი სმენა და ხმა და ჩარიცხეს სასკოლო ქოროში. ამ პერიოდში იგი ხშირი სტუმარი იყო სახალხო თეატრისა – ავჭალის აუდიტორიაში. წარმოდგენის ფასი ხელსაყრელი იყო - ერთი შაურიდან ათ შაურამდე და მომავალი მსახიობიც ყველა წარმოდგენას ესწრებოდა. ამ სპექტაკლებიდან მისთვის ყველაზე სამახსოვრო ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ აღმოჩნდა.

სასწავლებელი ჭიაურელმა 1909 წელს დაამთავრა და შვილის მიღწევებით გახარებულ და კმაყოფილ მშობლებს ორთქლმავლის მემანქანის მოწმობა წარუდგინა, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, მემანქანის ადგილი ვერსად იშოვა. თუმცა კი, ამ გარემოებას მისთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან ეს პროფესია, მხოლოდ მატერიალური დაკმაყოფილებისათვის სჭირდებოდა, ამიტომაც სულიერი საზრდოს ძიება სრულიად სხვა გზაზე განაგრძო.

როგორც აღვნიშნეთ, ჭიაურელი იყო რეჟისორი, რომელიც გამოირჩეოდა დროის პოლიტიკურ არსში წვდომისა და კინოხელოვნებაში თავისი მსოფლმხედ-

ველობრივი იდეების გაშუქების პრინციპებით. 40-50-იანი წლებიდან მის შემოქმედებაში მკვიდრდება დროის მაგისტრალური თემები, ჭიაურელის მიერ მოსკოვის კინოსტუდია „მოსფილმში“ შექმნილი სურათები: „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“, „დაუვიწყარი 1919 წელი“ უპირობოდ იკავებენ წამყვან ადგილს საბჭოთა ქვეყნების კინოსივრცეში. ამ წლებში ჭიაურელის, ისევე როგორც სხვა ცნობილი რეჟისორების ესთეტიკური პრინციპები პოლიტიკური მიმართულებით წარიმართა. ხელოვანი ადამიანები ასეთ პირობებში კარგავდნენ საკუთარი თავისა და იდეის გამოხატვის პერსპექტივას, რადგან მათი შემოქმედებითი მრწამსი ხელისუფლებას ეწირებოდა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ხარკის გაღების ხარჯზე შენარჩუნდა და განვითარდა ამ ეტაპისათვის კინოხელოვნებაში დამკვიდრებული კინემატოგრაფიული ხერხები და გამომსახველობითი საშუალებები.

მიხეილ ჭიაურელის კინემატოგრაფიულ მოღვაწეობას 50-იანი წლების ბოლო პერიოდიდან მივიჩნევთ, როგორც დაბრუნებას ეროვნული კინოს წიაღში. 1957-64 წლებში იგი ინტენსიურად მუშაობს წარსულისა და თანამედროვეობის გამომხატველი პრობლემების ძიებისათვის, რასაც ადასტურებს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ აღნიშნულ წლებში მის მიერ გადაღებული ოთხივე ფილმი. „ოთარაანთ ქერივი“ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს მიეძღვნა. იგი პირველი ეკრანიზაციაა ჭავჭავაძის ცნობილი ნაწარმოებებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის უძლიერესი მწერლის რთულად გადმოსაცემი ნაწარმოები, ფილმში აღმოჩენილი ხარვეზები არ უნდა მივიჩნიოთ რეჟისორის წარუმატებელ სვლად კინოხელოვნებაში. ფილმებით: „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და „გენერალი და ზიზილები“ კიდევ ერთხელ დაფიქსირდა რეჟისორის თანადროული პროცესების აქტუალურობის ჩვენების სურვილი. რეჟისორის წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა ა. ცაგარელის პიესის - „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, ეკრანიზაცია. სურათის შექმნა შემთხვევითი არ ყოფილა. აღნიშნულმა ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელ მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

მიხეილ ჭიაურელის ფილმებს მინიჭებული აქვს საერთაშორისო პრიზები, სახელმწიფო დიპლომები და პრემიები. „არსენა“ – სახელმწიფო პრემია (1941 წ.), „დიადი განთიადი“ – სახელმწიფო პრემია (1941 წ.), „გიორგი სააკაძე“, I სერია – სახელმწიფო პრემია (1943 წ.), II სერია – სახელმწიფო პრემია (1946 წ.), „ფიცი“ – სახელმწიფო პრემია (1947 წ.), საპატიო დიპლომი და ოქროს მედალი ვენეციის VII საერთაშორისო კინოფესტივალზე (1946 წ.), „ბერლინის დაცემა“ – სახელმწიფო პრემია (1950 წ.), დიდი პრიზი კარლოვი ვარის V საერთაშორისო კინო-

ფესტივალზე (1950 წ.), „დაუვიწყარი 1919 წელი“(1952 წ.) – დიდი პრიზი კარლოვი ვარის VII საერთაშორისო ფესტივალზე.

მიხეილ ჭიაურელი გახლდათ რეჟისორი, რომლის ყოველ ქმედებაში იგრძნობოდა ეროვნული კულტურისა და ხალხური ტრადიციების ბრწყინვალე ცოდნა, თანამედროვე მოვლენების გაანალიზებისაკენ სწრაფვა და ჩვენი ისტორიული წარსულისადმი თავყანისცემა.

დროის ფენომენი კინოხელოვნების განვითარების მომდევნო ეტაპებზეც (დღემდე) მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს ქართულ კინოსივრცეში. დრო მიხეილ ჭიაურელის, როგორც ხელოვანის, შემოქმედებითი აღმასვლისა და საყოველთაო აღიარების ერთ-ერთი მიზეზია იყო. „ხელოვანი სარკეა და მოკლე მატთანე თავისი დროის“ – წერს იგი. ამიტომ სწორედ ეს გახდა ცნობილი რეჟისორის მოღვაწეობის ხილული დევიზი.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, მ. ჭიაურელი გარდაიცვალა 1974 წელს, 80 წლის ასაკში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ანა მურაჩაშვილი



ევგენი მიქელაძე

ჭაღები ჩაქრა და მოსკოვის დიდი თეატრის დარბაზი სიბნელეში ჩაიძირა. ორკესტრში დირიჟორის ფიგურა წამოიმატა. წაბლისფერი თმა უკან გადაეყარა, ენერგიული, ალალი სახე ჰქონდა. მან ერთბაშად მიიპყრო ხალხით გადაჭედილი დარბაზის ყურადღება. სიბნელე ჰობოის რბილმა უღერამ გაჰკვეთა. თეატრში წარმტაცი, შთამაგონებელი ხმები დაიღვარა, თანდათან მომძლავრდა და მქუხარე მელოდია მთელ დარბაზს დაეუფლა. მერე ნელ-ნელა

მიწენარდა. ჩემად გაიხშიანა ჰობოიმ და კვლავ დადუმდა ყველაფერი. დირიჟორმა ჯოხი დაუშვა, ხალხი ერთბაშად წამოდგა და გაისმა მქუხარე ტაში.

ეს იყო ქართული ხელოვნების პიველი დეკადის პირველი დღე მოსკოვში. გადიოდა ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“. დირიჟორის პულტთან იდგა ევგენი მიქელაძე.

ცამეტი წლის წინათ მან პირველად მოისმინა ეს ოპერა თბილისის საოპერო თეატრში, მაშინ ხარბად ეწაფებოდა ყოველ ნოტს და ოპერით შთაგონებულმა, დირიჟორობა გადაწყვიტა.

გარდა შინაგანი მოწოდებისა, ძნელი იქნება დავასახელოთ სხვა რამ მიზეზი, თუ რატომ მიუწვევდა ევგენის გული დირიჟორებისკენ. ოჯახში იშვიათად ესმოდა მუსიკა და ახლობელთაგან არც არავის შთაუნერგავს მისთვის მუსიკის სიყვარული, ინსტრუმენტიც კი არა ჰქონდათ სახლში.

ევგენი მიქელაძე დაიბადა 1903 წლის 27 ივნისს, ბაქოში. 1910 წელს მიქელაძეების ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. 1913 წელს, 10 წლის ბიჭი კადეტთა კორპუსში შეიყვანეს. სასწავლებელში ჟენია ორი რამით გამოირჩეოდა- მუსიკალობითა და ყოყლოჩინობით. დაუდგრომელი ხასიათის იყო, ამიტომაც მოხდენილად შეარქვეს „ყვინჩილა“. კადეტთა კორპუსში ადამიანურ ღირსებას ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს. ევგენი კი თავმოყვარე იყო, შეურაცხყოფას აგრერიგად ვერ აიტანდა. ერთ-ერთ დღესასწაულზე მას უფლება მისცეს საზეიმო სუფრას დასწვეოდა. შემთხვევით ჭიქას ხელი გაჰკრა და სუფრაზე დვინო დაიდვარა.

- სად ხართ გაზრდილი?! - შეჰყვირა ოფიცერმა. ჟენია წესისამებრ გამოეჭიმა ოფიცერს და მიახალა: „იქ, სადაც სამჯერ ცვლიან ხოლმე სუფრას ყოველდღიურად“.

ამ შემთხვევის გამო მას ქალაქში გასვლა აუკრძალეს. ყოყლოჩინობის გამო ხშირად იჯდა ხოლმე კორპუსში გამოკეტილი, შინ წასვლის უფლებაწართმეული. არადა, სულმოუთქმელად ელოდებოდა ხოლმე იმ დღეს, როცა ყაზარმის სულისშემხუთველ გარემოს თავს დაადწვედა და თუნდაც მცირე ხნით, მყუდრო ჭერს შეაფარებდა თავს. კადეტთა კორპუსში შეისწავლა ევგენიმ საყვირზე დაკრა და მალე სასულე ორკესტრშიც უკრავდა. ასევე, სიამოვნებით ესწრებოდა ტანვარჯიშის გაკვეთილებს. სპორტსმენები ალერსით „ტრუბაჩს“ ეძახდნენ. საყვირზე კი ღამღამობით მეცადინეობდა და შინაურები

რომ არ შეეწუხებინა, ინსტრუმენტს ჩვრებით ახშობდა ხოლმე. „მიკვირს, როგორ არ გადმოაყოლა ფილტვები ამ საყვირს“, იგონებდა ჟენიას და.

მიქელაძის მუსიკალურობამ და შრომისმოყვარეობამ მაშინდელი კაპელმეისტერის, ვალერიან მიზანდარის ყურადღება მიიქცია. მალე ეგგენი უფროს მუსიკოსად დააწინაურეს. 17-18 წლის ყმაწვილი ორკესტრის რეპეტიციებს ხელმძღვანელობდა, ნაკლებად მნიშვნელოვან კონცერტებზე დირიჟორობდა კიდევ.

ვინაიდან თბილისის კონსერვატორიაში სადირიჟორო სპეციალობა არ იყო, მიქელაძე საკომპოზიციო-თეორიულ განყოფილებაზე ჩაირიცხა. თუმცა საკუთარი თავი ვერც თეორეტიკოსად წარმოედგინა და ვერც კომპოზიტორად. დირიჟორობის შესწავლის უდიდესმა სურვილმა განაპირობა, რომ ეგგენი სწავლის გასაგრძელებლად ლენინგრადში გაემგზავრა. წასვლის წინ, ის სიყვარულში გამოუტყდა ალბინისტ გოგონას, რომელთანაც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა. ქალიშვილმა მისი გრძნობები არ გაიზიარა და სამუდამო მეგობრობა შესთავაზა. ასეც მოხდა - ისინი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდნენ. მიქელაძის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. მან ჩააბარა ლენინგრადის კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ ტექნიკუმში, 1927 წელს კი- კონსერვატორიაში, ვალტორნაზე, თუმცა კვლავ დირიჟორობაზე ოცნებობდა. წადილის ასრულებაში მას გამოჩენილი რუსი დირიჟორი ნიკოლაი მალკო დაეხმარა. ერთ-ერთი გამოკითხის დროს მალკომ მოულოდნელად ჩოგბურთის ჩოგანი მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა და სტუდენტებს შესთავაზა გამოეცნოთ თუ რა ნოტი იყო. ეგგენიმ იგივე ბგერა მორიდებულად გაიმეორა როიალზე, რითაც დირიჟორი განაცვიფრა. მალკომ ჟენიას ნება მისცა სადირიჟორო სპეციალობაზე მის ლექციებს დასწრებოდა. ასევე ბარათიც გადასცა, რითაც ხელმოკლე სტუდენტს შეეძლო საოპერო თეატრის წარმოდგენებს უფასოდ დასწრებოდა.

წელიწადზე მეტხანს დაჰყო მიქელაძემ მალკოსთან, სანამ ეს უკანასკნელი საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა. შემდეგ კი მიქელაძე სწავლობდა შესანიშნავ პედაგოგთან, ალექსანდრე გაუკთან. დირიჟორი დიდად აფასებდა სტუდენტის ნიჭსა და შრომისმოყვარეობას. მოგვიანებით იგი ამბობდა: „ჩემს კლასში მთელი მისი მუშაობა დამყარებული იყო საოცარ ნებისყოფაზე. ჟენია მართლაც თავდაუზოგავად შრომობდა. არ არსებობდა მისთვის არავითარი გადახვევა, არავითარი კომპრომისი. ზოგჯერ დღეში ოც საათს მუშაობდა, ავადმყოფობასაც არ ეპუებოდა. მას ხელების პროფესიული დაავადება აწუხებდა (როიალზე

დაკვრა გვიან დაიწყო და ზედმეტი დატვირთვის გამო ხელები სტკიოდა). თავად წერდა: „როგორც კი ტკივილი მიუჩნდება, მაშინვე როიალს მივვარდები, რომ მოვასწრო და სამიოდე საათს მაინც დაეუკრა . იგი დიდ დროს უთმობდა პარტიტურის შესწავლასაც. შინაგანი სმენით პარტიტურის აღქმაში ძალიან გაიწაფა, შეეძლო ზედმიწევნითი სიზუსტით შეეგრძნო და შეეთვისებინა იგი ისე, რომ როიალს არც კი მიჰკარებოდა. ერთხელ, რაღაც მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, კონცერტის წინ გამგზავრება მოუხდა და მატარებლის ვაგონში ზეპირად შეისწავლა პარტიტურა (ბეთჰოვენის საფორტეპიანო კონცერტი).

სადირიურო პულტან გამოჩენის პირველივე საათებში გამოავლინა ეგგენიმ თავისი შეუვალი ხასიათი. რიმსკი-კორსაკოვის ოპერის „მეფის საცოლის პირველ რეპეტიციაზე ი.ვ.ერშოვმა, სახელგანთქმულმა რუსმა მომღერალმა, რომლის სიტყვაც კანონს წარმოადგენდა საოპერო სტუდიაში, სცადა რეპეტიცია შეეჩერებინა და ახალგაზრდა დირიჟორისთვის შენიშვნები მიეცა, მიქელაძემ კი უცერემონიოდ უთხრა: „აქ უფროსი მე გახლავართ. მსგავსი შემთხვევები ბევრი იყო მიქელაძის შემოქმედებით ცხოვრებაში. მაგალითად, 1930 წელს, თბილისის საოპერო თეატრში, „კარმენის რეპეტიციის დროს, მთავარი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი მიუახლოვდა, მისთვის ყურში რაღაცის თქმა უნდოდა. მიქელაძეს ეს არ ესიამოვნა, გაბრაზებულმა დახურა კლავირი და ზეპირად განაგრძო რეპეტიცია. მოსკოვში, რადიო-სტუდიაში რეპეტიციის დროს, იგი კვლავაც პარტიტურის გარეშე დირიჟორობდა. მოულოდნელად ორკესტრი შეაჩერა და ერთ-ერთ მუსიკოსს არასწორი ნოტის გამო შენიშვნა მისცა. მან კი იუკადრისა - სჯობდა მაესტროს კლავირით ეხელმძღვანელა. პარტიტურა გადაამოწმეს და მიქელაძე მართალი აღმოჩნდა. ერთ-ერთი სპექტაკლის წინ კი მუსიკოსებმა სანაძლეო დადეს, მიხვდებოდა თუ არა მაესტრო, ოპერის გუნდის რამდენიმე წევრის სიმღერის ნაცვლად, უბრალოდ პირის მოძრაობას. ორკესტრის, სოლისტების, გუნდის მქუხარე მელიოდის მიუხედავად, ეგგენის ეს ნიუანსი არ გამოჰპარვია და წარმოდგენის შემდეგ თითოეულ მათგანს უსაყვედურა.

1931 წლის გაზაფხულზე ეგგენიმ წარმატებით დაასრულა ლენინგრადის კონსერვატორია, იმავე წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის დირიჟორად დაინიშნა. ივანე ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ (1934 წ.) კი - თეატრის მთავარ დირიჟორად. შვიდწლიანი სადირიურო მოღვაწეობის განმავლობაში მიქელაძემ ბევრ კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. აღადგინა ოპერა

„ოტელო“, დირიჟორობდა ოცზე მეტ სპექტაკლს: „ფაუსტი“, „ტოსკა“, „ევგენი ონეგინი“, „ბორის გოდუნოვი“, „ახესალომ და ეთერი“, „დაისი ... ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად დადგა ბალეტი „მზეჭაბუკი“.

1932 წელს ევგენიმ მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და სათავეში ჩაუდგა სტუდენტთა სიმფონიურ ორკესტრს. ახალგაზრდების აღზრდის საქმეში მიქელაძე, ეს ბუნებით ფიცხი კაცი, საოცარ მოთმინებასა და თავშეკავებულობას იჩენდა. დაუღალავი შრომისა და დისციპლინის წყალობით, სიმფონიური ორკესტრი მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე და ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელს კავშირში, მალე ევროპაშიც გაითქვა სახელი. მიქელაძე ორკესტრის თითოეულ წევრზე ზრუნავდა, მუდმივად ცდილობდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდა. ამბობენ, რომ ევგენი განსაკუთრებით თბილ დამოკიდებულებას იჩენდა თეატრის ტექპერსონალის მიმართ. მას ძალიან უყვარდა უბრალო ხალხთან ურთიერთობა.

ორკესტრის ჩამოყალიბებას დაემთხვა მნიშვნელოვანი მოვლენა მის პირად ცხოვრებაში: მიქელაძემ ქეთევან მამიას ასულ ორახელაშვილზე იქორწინა. მალე ქალ-ვაჟი შეეძინათ. დიდებული მაცეტრო ყურადღებიანი მამა და მეუღლე გამოდგა. ახალგაზრდა წყვილი შესმატკბილებულად ცხოვრობდა. ქეთო მრავალმხრივ განვითარებული, ულამაზესი ქალი იყო. იგი 19 წლის გახლდათ, ენია - ოცდაათის. ქეთევანის მშობლები პირველი თაობის ბოლშევიკები, სოციალ-დემოკრატები იყვნენ. მამია ორახელაშვილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახლდათ, მისი მეუღლე მარიამი კი - განათლების კომისარი. მათ ხუთოთახიანი ბინა ჰქონდათ, სწორედ ამ სახლში დაბინავდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მათ მოპირდაპირე სახლში ლავრენტი ბერია ცხოვრობდა. მას ძალიან უყვარდა ოპერა და მიქელაძის შემოქმედებასაც დიდად აფასებდა, მაგრამ რაც ევგენი ქეთუსიაზე დაქორწინდა, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამბობენ, რომ ბერიას პირადი წყენა ჰქონდა, რაც დაკავშირებული იყო ევგენის მეუღლესთან, რომელმაც გაუბედა და უარი უთხრა პირველ ჩეკისტს...

დაძაბულობა პიკს აღწევდა, ამას მიქელაძის შეუვალი ხასიათიც უწყობდა ხელს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ბერიას დარბაზის დატოვება მოსთხოვა, „დაისის რეპეტიციის დროს კი, როცა ლავრენტიმ მუსიკალური ნომრის განმეორება მოითხოვა, მაცეტრომ დაუდევრად აუქნია ხელი და ბერია გაბრაზებული გავიდა თეატრიდან. 1937 წლის იანვარში, მოსკოვში, ქართული

დეკადის დღეებში, სამთავრობო ვახშამზე ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტის ევგენისკენ არც კი გაუხედავს. მიქელაძის ბედი გადაწყვეტილი იყო...

1937 წლის 4 ნოემბერს, „ლატავრას“ გენერალური რეპეტიციის შემდეგ, ევგენი ოპერის ავ-კარგიანობაზე თათბირობდა კოლეგებთან. კარი გაიღო და ჩეკისტებმა იგი დააკავეს. ერთმა მათგანმა მას შრომის წითელი დროშის ორდენი ჩამოგლიჯა. უნია წაიყვანეს... 13 დეკემბერს მას დახვრეტა მიუსაჯეს. მალე ხმა გამოვიდა, რომ ნაცეში, თვალვებდათხრილი მიქელაძე იატაკზე იწვა, მასთან ბერია შევიდა, მაესტრომ იგი ხმაზე იცნო. მეორე დღესვე ევგენის ყურებში შანთი გაუყარეს... არავინ იცის რა არის ტყუილი, რა მართალი, ფაქტი ისაა, რომ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, ნიჭიერი დირიჟორი სისტემის მსხვერპლი გახდა.

მალე ქეთევანიც დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს. მათ სახლში ოპერის მომღერალი ეკატერინე სოხაძე შეასახლეს. პატარა თინათინი და ვახტანგი ძიძასთან ერთად საკუჭნაოში გამოკეტეს. მოგვიანებით ბავშვებიც ყარაგანდაში გადაასახლეს.

ევგენი მიქელაძის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ გაიუღერა ჰობოიმ და გაჰკვეთა დარბაზის სიჩუმე, მრავალჯერ აღაფრთოვანა „დაისის“ ღვთაებრივმა მელოდიამ მსმენელი, სადირიჟორო პულტთან შეიცვალნენ დირიჟორები - ზოგი მეტად კაშკაშა, ზოგიც ნაკლებად, ქართული საოპერო ხელოვნება დღესაც ვითარდება, მაგრამ მიქელაძის დირიჟორობის შვიდმა წელმა წარუშლელი კვალი გაავლო ეროვნულ მუსიკალურ კულტურაში.

როზა კაზარიანი



ბორის პაიჭაძე

როდესაც საქართველოს სპორტული საზოგადოების სიამაყემ – ბორის პაიჭაძემ, სამოცდაათ წელს, ტრადიციულ საიუბილეო თარიღს გადააბიჯა, სურვილი გამიჩნდა, რომ იუბილარისადმი ღრმა პატივისცემა რომელიმე ჟურნალში მოკლე წერილით მაინც გამომეხატა. ფოტოსურათებისათვის ბატონ ბორისს ვეწვიე. თავმდაბალი უარით გამომისტუმრა და მდგომარეობიდან ისევ ჩვენი საოჯახო ალბომის დახმარებით გამოვედი. სურათებს რომ ვარჩევდი, ყურადღება მაშინდა მივაქციე, რომ ბ. პაიჭაძე და თბილისის “დინამოს” მეკარე – სერგო შუღრა (მამაჩემი) ყველა ფოტოში ერთმანეთს უმშვენებდნენ მხარს (კაპიტანი და მეკარე ხომ ერთად გამოდიან მოედანზე და ერთად ტოვებენ მას). ასევე მეგობრობდნენ ისინი ცხოვრებაში და ერთად იზიარებდნენ ჭირსაც და ღხინსაც. ბორის პაიჭაძის იშვიათი პიროვნული თვისებები ყოველთვის მიზიდავდა და ამიტომ მამის მოგონებები მისი თამაშის მანერის შესახებ კარგად დამამახსოვრდა: “ბორიას მოედანზე გამოსვლა საოცარი ძალით გვაკავშირებდა ერთმანეთს, მის გარშემო ადვილად ყალიბდებოდა კოლექტივი . . . ტემპერამენტიანი თამაში იცოდა, არასოდეს კარგავდა მებრძოლის თვისებებს. თუ ვაგებდით, ბორია თავს მოიკლავდა და საჭირო ბურთს მაინც გაიტანდა. გასვლით თამაშს რომ წავაგებდით, მატარებლიდან ნავთულში ჩამოვდიოდით, ისე ერიდებოდა ჩვენს კაპიტანს გულშემატკივრებთან შეხვედრა... დიდი ენერჯისა და მოსაზრებულობის, სწრაფი ორიენტაციის უნარის მქონე, ისე კეთილშობილურად თამაშობდა, რომ არ მახსოვს, მსაჯისგან შენიშვნა მიეღოს . . . მწვრთნელს თავისი ავტორიტეტით კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ეხმარებოდა მუშაობაში. სამსრეთელი კაცი ემოციურია და მწვრთნელის შენიშვნას ყოველთვის ერთნაირი სიმშვიდით ვერ ისმენს, ამიტომ ხშირად თამაშის გარჩევას მწვრთნელი ბორიასაგან იწყებდა – მისი თავშეკავება და სპორტული რაინდობა კი ყველასათვის სამაგალითო იყო . მას პელეზე ნაკლები სახელი არ ექნებოდა, მსოფლიო ასპარეზზე მისი თამაში რომ ენახათ,

მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო”. ყველამ არ იცის, რომ იუბილარის ცხოვრება ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. იყო დრო, როცა მას სტანდარტულ ფეხბურთელად გადაქცევას უპირებდნენ და საჯაროდ კი აკრიტიკებდნენ. . . ავიღოთ თუნდაც 1952 წელი, როცა ბორის პაიჭაძემ თავი დაანება თამაშს. ამ წლებში საქართველოს რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყოველთვის ობიექტური როდი იყო მასთან ურთიერთობაში . . .

1963 წლიდან ბორის პაიჭაძე ორი ათეული წელი იყო თბილისის “დინამოს” სპორტკომბინატის დირექტორი. მე ბედმა მარგუნა ამ წლებში ბატონ ბორისთან სიახლოვე და არ შემოძლია, მკითხველს არ გავუზიარო ზოგი რამ, მისი პიროვნული, წმინდა ადამიანური თვისებების შესახებ, ჩემი უშუალო დაკვირვებიდან გამომდინარე. პაიჭაძე მარტო ფეხბურთელი კი არა, იგი ძალზე ნიჭიერი ადამიანი იყო. წიგნი ბატონ ბორისს მუდამ თან დაჰქონდა. იგი ძალზე ნაკითხი და ფართო ერუდიციის პიროვნება გახლდათ. ამიტომ, ეჭვგარეშეა, მას რომ სხვა გზა აერჩია, მაინც სახელოვანი ადამიანი გახდებოდა.

ბატონი ბორისი კარგი მეოჯახე, ძალზე უპრეტენზიო იყო ცხოვრებაში. მასთან არ წყდებოდა მომსვლელი, ალბათ ამიტომ, კარი ყოველთვის ღია დაგხვდებოდათ. ამ ოჯახში არასოდეს შემომჩნევია “მაღალ დონეზე” ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტები. სამაგიეროდ ოჯახში იგრძნობოდა საოცარი ადამიანური სითბო. ამაში, ალბათ, ბატონ ბორისის მეუღლის, ქალბატონ მარგოს დამსახურებაცაა, რომელიც განათლებული და სტუმართმოყვარე დიასახლისი ბრძანდებოდა.

ბორის პაიჭაძეს მახვილი თვალი ჰქონდა, ყოველთვის კარგად ხედავდა რეალური ცხოვრების სირთულეს, აკარგიანი, ალღოიანი კაცი იყო, ამიტომ მას ადმინისტრაციული საქმიანობაც ემარჯვებოდა. პაიჭაძე თავისი განუყრელი კეპით, თამაშის დროს ფეხბურთელთა ამოსასვლელი გვირაბის წინ რომ უყვარდა ყოფნა, “დინამოს” სტადიონის ერთგული, მისი ნამდვილი პატრონი იყო...

ბორია ძალზე ობიექტური კაცია – ხშირად უთქვამს მამას. ის არასოდეს გაამართლებდა მეგობარსაც კი, თუ ის მართალი არ იყო. მას არასოდეს მოჰკლებია „უბრალო” ადამიანებისადმი ინტერესი. საზოგადოებაში ძალზე თავმდაბალი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფიანი და უადრესად გულისხმიერი ადამიანი იყო. ბორისი ასევე საიმედო იყო ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვისას, არ ზოგავდა თავს და იზიარებდა მწუხარებასა თუ სიხარულს

ამხანაგებთან ერთად. ის სახელი რომელიც ბორის პაიჭაძეს ჰქონდა, მას ხალხმა აჩუქა და ბატონ ბორის ყოველთვის ახსოვდა, რომ ამ სახელს გამართლება უნდოდა, უნდა გაფრთხილებოდა და ამიტომაც ვაჟკაცურად იღწვოდა, რათა ქართული ფეხბურთის სახელი არ შელახულიყო და ღირსება ბოლომდე დაეცვა. დარწმუნებული ვარ რომ ასე ფიქრობდა ყველა, ვინც მასთან ახლოს ყოფილა.

ღიას პაიჭაძე ისევ პაიჭაძეა. იყო და ასეთად დარჩება ფეხბურთის ქომაგთა სსოვნაში.

ომარ შუდრა

„დინამო“ ჩვენს ოჯახში

(ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ს. შუდრა და სხვ.)

მამა, სერგო შუდრა, თბილისის „დინამოში“ 1943 წელს ჩარიცხეს და იქ 1951 წლამდე თამაშობდა, ვიდრე ასაკის გამო (37 წელი), გუნდი არ დატოვა. 1948წ. მას სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს, ერთ-ერთ პირველს დინამოელებს შორის. ამ წლებში ის, ხელფასის გარდა, მოსკოვის ყოველთვიურ „პაკეტსაც“ იღებდა. სტალინის მმართველობის წლებში ეს კვალიფიციური სპეციალისტებისთვის წახალისების მიღებული ფორმა იყო (დაახლოებით ხელფასის ოდენობის თანხა, რომელიც არ იბეგრებოდა). „დინამოს“ გუნდს (რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროში შედიოდა), მოსკოვიდან სპორტით გატაცებული ლავრენტი ბერია კურირებდა. საკმარისი იყო წაგებისას სტალინს უბრალოდ ჩაელაპარაკა „ეს რა მოუვიდათ ჩვენს ბიჭებს“, რომ გაცეცხლებული ბერია გუნდს თათბირზე შეკრებდა, სადაც თურმე ხშირად უთქვამს : „ამ რუსს მაინც მიბაძეთო“... (მამაჩემს გულისხმობდა), თუმცა, მას მხოლოდ გვარი ჰქონდა უკრაინული.

ერთ-ერთ თამაშში, თავდამსხმელის მოქმედი ფეხი მამას ნიკაპში მოხვედრია. გონება დაკარგა (ბუცების „შიპები“ მაშინ უხეშად, ლურსმნებით იჭედებოდა) და ქალაქში ხმა გავრცელდა, შუდრა ცოცხალი აღარ არისო. თუმცა, ნაკერები დაადეს და რამდენიმე დღე სიცხიანი, გაბრუებული იწვა.

საპასუხისმგებლო მატი ელოდათ, ძლიერი მეკარე არ ჰყავდათ და გუნდმა სთხოვა: „ოღონდ უბრალოდ, კარში დადექი, შენსკენ ბურთს არ გამოგუშვებთო“. მიუხედავად ამისა, როგორც ხდება ხოლმე, მამა აქტიურად ჩართულა თამაშში.

თამაშის შემდეგ კი სიცხესაც დაუწევია და აზროვნებაც დაბრუნებია. მამა ამბობდა ხოლმე, ეს მატი, რომ არ მეთამაშა, შესაძლოა, მთელი ცხოვრება ინვალიდად დავრჩენილიყავიო.

ახალგაზრდობაში, მამას ექიმებმა სათვალის ტარება დაუნიშნეს (ჩვენ, გენეტიკურად სუსტი მხედველობა გვაქვს), მაგრამ როგორც ფეხბურთელს და სოფელში გაზრდილს, თავი შეუკაავებია. მოძრავი ბურთის ცქერამ მას მხედველობა გამოუსწორა. ეს ყოველთვის მაოცებდა, მაგრამ ახლახან წავიკითხე მხედველობის კორექციის ახალ მეთოდზე, რომელშიც თვალის „გაზარმაცების“ მიზეზად სათვალეს მიიჩნევენ.

თამაშისთვის მამას ღრუბლიანი დღეები უყვარდა – მზეში ბურთი „ბჭყვიალებსო“. . .

იმ წლებში, თანამედროვე მკითხველისთვის უჩვეულო ნორმები არსებობდა: ფეხბურთელებს გატანილი გოლის შემდეგ ეკრძალებოდათ ემოციების გამოხატვა (გადაკოცნა, ხელების ქნევა, ხტომა და ა.შ.) – ითვლებოდა, რომ ეს „საბჭოთა სპორტსმენს“ არ ეკადრებოდა.

სტადიონი „ბერიას სახელობის“ იყო. მატიზე მოხვედრა პრობლემას წარმოადგენდა, სალაროებთან ცხენოსანი მილიცია იდგა, ახალგაზრდები ლითონის მაღალ ღობეზე გადაძრომას ცდილობდნენ. გავრცელებული ყოფილა ყალბი ბილეთების დახატვა, ამიტომ, ფეხბურთელებს ნებას აძლევდნენ ნაცნობებისთვის, სალაროდან წინასწარ წაეღოთ 50-მდე ბილეთი სიმბოლურ, 10 კაპიკიან ფასად. უფასო და ფასიანი აბონემენტები კი მოგვიანებით შემოვიდა.

კარის ძელი ხის იყო, ამიტომ ბადე პირდაპირ ზედა ძელიდან ეშვებოდა და გატანილ ბურთს ხშირად უკან ისხლეტდა ხოლმე. ლითონის ძელზე გადასვლის შემდეგ, ბადემ ფორმა შეიცვალა და მსაჯებიც უკვე გარკვევით აფიქსირებდნენ ხოლმე გოლის გატანას. კარის უკან მდგომ სასწრაფო დახმარების მანქანას მამა ვერ იტანდა და თვალს არიდებდა ხოლმე.

თამაშის წინ გუნდს რამდენიმე დღე ოჯახებში არ უშვებდნენ. ოღონდ კი მატჩი მოეგოთ – საწოლზე იყვნენ წამოწოლილი და ლაზდანდარობაში ზარმაცდებოდნენ: მამამ, ცნობილი ხელოსნის შვილმა, ჩაქუჩის ხმარებაც კი არ იცოდა. მას არავითარი საოჯახო-სამეურნეო საქმიანობა არ ეხერხებოდა.

წაგებული თამაშის შემდეგ კი გუნდი დიდმის ბაზაში მიჰყავდათ (მაშინ იქ უკაცრიელი მინდორი იყო). ერთ სართულიან შენობაში, სასადილო დარბაზში ვახშმით უმასპინძლდებოდნენ და კინოფილმს (იმავე დარბაზში) აჩვენებდნენ.

ქუჩაში ფეხბურთელებს უცნობი ადამიანები აჩერებდნენ და იქვე ჯიხურის ლუდზე ეპატიჟებოდნენ (ასე შემდეგ ბევრი გალოთდა).

საზღვარგარეთ კი (მამა რუმინეთსა და ირანშია ნამყოფი) ყველანი ერთნაირ, შავ კოსტუმებში დადიოდნენ და იქ, ბუნებრივია, ეს უკვირდათ.

1945 წლიდან, გუნდის თხოვნით, მწვრთნელი ფრონტიდან დაბრუნებული ანდრო უორდანია გახდა – ღირსეული და დამსახურებული პიროვნება. რამდენჯერმე გააგდეს საქართველოდან და რუსეთში, მოსკოვთან ახლოს ქალაქ ივანოვოში მუშაობდა ხოლმე. ცოლი და ვაჟიშვილი იქ ჰყავდა, თუმცა ეს საქართველოში არ იცოდნენ და ყველას გამოუსწორებელი ბერბიჭა ეგონა. კარგი ფსიქოლოგი ყოფილა. მაგალითად, ვ. ბერეჟნოს თამაშის წინ უმიზეზოდ ეჩხუბებოდა: „Не знаешь ты футбол...“ გაბრაზებული ვიქტორი იგინებოდა ხოლმე - ლ.ტ.მ., ბუცებში წინდებს ექაჩებოდა და ენერგია ეძლეოდა... მამას კი (იცოდა რა მისი მგრძობიარე ხასიათი), მხოლოდ მხარზე დაადებდა ხელს და ეტყოდა: „შენი იმედი მაქვსო“. გუნდის კაპიტანი ბორის პაიჭაძე იყო. მისი სპორტული და ადამიანური თვისებები საყოველთაოდ ცნობილია. აქ კი მხოლოდ მის ოჯახს გავისხსენებ.

მეუღლე, მარგო, კახელი იყო, იშვიათი გამძლეობის და ადამიანური თვისებების ქალი. „ქვა და რკინაა, რაც ქმარია, ის ცოლია,“ – ამბობდა დედაჩემი, თამარ გაჩეჩილაძე.

უფროსი ვაჟი, რამაზი, ფეხბურთს კარგად თამაშობდა, ოთარი კი, აგამშენებელი, უმცროსი იყო. ოთარმა ცოლი ადრე მოიყვანა – ულამაზესი თანაკლასელი. მაღე 26 წლის ოთარს (1967წ) ღამით დილომში (მაიაკოვსკის ძეგლთან, ტრასაზე) მანქანა დაეჯახა და გარდაიცვალა. მძღოლი იპოვნეს, მაგრამ, როგორც მამამ მითხრა, დიდი თანამდებობის პირი ყოფილა და არ გაახმაურეს. ოთარის დარჩა 7 წლის ბიჭი (ბორისი) და 2 წლის გოგონა. რამაზი კი მშენებელი ინჟინერი იყო. ბოლოს, „დინამოს“ სტადიონის მთავარ ინჟინრად მუშაობდა. ომის შემდგომ წლებში, ჩვენი ოჯახები ზაფხულში,

კოჯორში ერთად ისვენებდნენ: „დინამოს“ უზარმაზარ (გერმანიის ნადავლ) საბარგო მანქანის ძარაზე, შეფუთულ ლოგინებზე ვისხედით ხოლმე. მძლოლი გერმანელი ტყვე ვიქტორი იყო, მაღალი, გამხდარი მექანიკოსი.

ბავშვობაში, ოჯახი ჩვენსკენ, ჩულურეთში, ამჟამად მაზნიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. შემდეგ (1948 წლამდე), თევდორე მღვდლის №5 -ში, ახალ ღამაზ სახლში (სასტუმრო „კოლხეთის“ უკან) გადავიდნენ.

ფეხბურთს რომ თავი დაანება, პაიჭაძე უკვე მარჯანიშვილის მოედანზე, ახლადაშენებულ სახლში ცხოვრობდა (ამჟამად ამ ბინაში ცნობილი მსახიობის, ოთარ მეღვინეთუხუცესის ოჯახია). სადარბაზოში, ყველას მოდური, მუხის ან რკინის კარი ჰქონდა, პაიჭაძეებს კი (ბოლო სართულზე) ძველი სტანდარტული კარი დაეტოვებინათ, ყოველგვარი „სამზერის“ გარეშე, რომელზეც უბრალო ფანქრით იყო მიჯღაბნილი - „პაიჭაძე“.

ასაკში რომ შევიდა, ბორისს „ენგურჰესის“ დირექციამ პატივი სცა და თანამშრომლების სახლში, პრესტიჟულ ადგილზე – ვაკის პარკთან, ახალი ბინა მისცა.

ბორისი ძალიან ნაკითხი და პატიოსანი კაცი იყო. სტადიონის დირექტორს, „ვოლგის“ ნაცვლად, დიდხანს ძველი „მოსკვიჩი“ ემსახურებოდა.

როგორც პოპულარულ ადამიანს, უჩვეულოდ დიდი არქივი ჰქონდა: ერთი დიდი ტომარა, სავსე ფოტოებით. კინოარქივი კიდევ ცალკე იყო (და ეს მასალა, მგონი, დღემდე დაუხარისხებელია).

სიცოცხლის ბოლო წლებში ბორისი მოღუშული, გაჩუმებული იყო და ჩვენთან, სტუმრებთან, არც გამოდიოდა.

ბ.პაიჭაძის შემდეგ, გუნდში დიდი ავტორიტეტი გაიოზ ჯეჯელავას ჰქონდა. ისიც ჭკვიანი იყო. „დამით ყველას რომ გვეძინა, ის ბლოკნოტში სულ რაღაცას ინიშნავდა“ – ამბობდა მამა. ის დაუახლოვდა მოსკოვის „BBC“ გუნდის შეფს, ვასილ სტალინს და მოსკოვში კარგი კარიერა გაიკეთა. ვასილი რომ ყაზანში, ლოთების გარემოცვაში საეჭვოდ მოკლეს, მისი ნორმალური დაკრძალვა და შემდეგ, მოსკოვში გადმოსვენებაც გ.ჯეჯელავას დამსახურებაა.

გაიოზი, ასაკში რომ შევიდა, გაჯის ქარხნის (ვაზიანთან) დირექტორი გახდა, მცხეთაში აგარაკი აიშენა, ქეიფს და ქალებს არ იკლებდა. ბოლოს სიარული უჭირდა და პაიჭაძის გუნდიდან ყველაზე გვიან, ღრმა მოხუცი გარდაიცვალა.

გაიოზის ძმა სპარტაკი კი, „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, კამოს ქუჩაზე პატარა წარმოების დირექტორი იყო.

კარგი ფეხბურთელი იყო ვიქტორ პანიუკოვიც, ჯეჯელავას არ ჩამოუვარდებოდა. . . ისიც მარჯანიშვილის მოედანზე, მანსარდის სართულზე (ვახტანგ ჭაბუკიანის ზევით) ცხოვრობდა. ფეხბურთს თავი რომ დაანება, 35-ე სკოლაში მუშაობდა. ლამაზად იცვამდა, სერიოზული, კარგი მეოჯახე იყო და შვილს, დიმას, კარგად ზრდიდა. შემდეგ ბაქოს “ნეფტიანიკის” გუნდს წვრთნიდა. როგორც ხდება ხოლმე, ნელ-ნელა გაალოთეს. ხოლო როდესაც მისი თანამდებობა მოუნდათ, ინტრიგა მოუწყეს: დაათვრეს, დაუძახეს უფროსობას და ამ მდგომარეობაში აჩვენეს. მოხსნეს გუნდიდან. ვიქტორს ისე ეტკინა გული, ქუჩის „ბასიაკად” იქცა. დამეს ყოფილ „გორკის პარკში” (ამჟამად „ილიას ბაღი”) სკამზე ათევდა..

როგორც კარგი ფეხბურთელი, „დინამოელებმა” ვ.პანიუკოვი დიდი პატივით დაკრძალეს.

დიმას კი „გეპეიში” კარგი სპეციალისტის სახელი ჰქონდა, შემდეგ კომპიუტერებს არემონტებდა და მისი კვალი დამეკარგა.

„დინამოელი” გოგი ანთაძე, რომელიც ფოთიდან გადმოიყვანეს, ჩემი ბავშვობის წლებში, ასე ვთქვათ, „სტადიონის საათში ცხოვრობდა” (საათი მაშინ ისრიანი იყო). იქ მის ოჯახს 1 თუ 2 ოთახი ჰქონდა. შემდეგ, ბინა ვაკეში, რიგის ქუჩაზე მიიღეს (თითქმის ყველა „დინამოელი” იქ ცხოვრობდა). ანთაძემ ფეხბურთს, თავი რომ დაანება, მალე, პეკინის ქუჩაზე ცნობილი სპორტმალაზიის დირექტორი გახდა. შემდეგ რაღაც დანაკლისზე დასაჯეს და მამას ხელმოწერისთვის პატიების ქაღალდი მოუტანეს. ასეთ სიებში პირველი ყოველთვის ნონა გაფრინდაშვილი იყო ხოლმე.

ანთაძე კარგი დეკლამატორი იყო – სპორტსმენტა კონცერტებზე თავის იუმორისტულ ლექსებს კითხულობდა. გოგი ანთაძეს კარგი, განათლებული ქალ-ვაჟი დარჩა. მათ კარგი, ძლიერი ოჯახები შექმნეს.

ცნობილ „დინამოელს” იბრაგიმ სარჯველაძეს ნაკლებად ვიცნობდი. მახსოვს მხოლოდ, მისი ახირებული ხასიათი: ახლადშემოსული პრესტიჟული ავტომანქანა „ЗИМ“-ი რომ შეეძინა, სახლიდან ყველაფერი გაყიდა და სიმპათიური ახალგაზრდა ცოლიც გაუშვა...

ასლან ხარბედიას ეკონომიკური განათლება ჰქონდა, ამიტომ ფეხბურთს, რომ თავი დაანება, მალე მარჯანიშვილის ქუჩაზე ცენტრალური უნივერსიტეტის დირექტორად დანიშნეს (ახლა იქ „თი-ბი-სი” ბანკია). უყვარდა თანაგუნდელების

დახმარება (ავეჯის შექენაში და სხვ). შემდეგ, მოხსნეს¹ და ბოლოს დილოში ვნახე, თერაპიის ინსტიტუტის სამეურნეო სამსახურის უფროსად.

მამა რომ ასაკში შევიდა, სულ ცდილობდა თავისი შემცვლელი აღეზარდა. ასეთი იყო ვოვა მარღანია. ის კიევის ქუჩაზე, ცხოვრობდა. ველოსიპედით სიარული, სწორედ, მარღანია მასწავლა. ის ავტოავარიაში გარდაიცვალა. მისი ვაჟი ძალიან გვიან გავიცანი – შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

„პენალტის უბადლო ოსტატის“ სახელი ჰქონდა მიხეილ ბერძენიშვილს. სპორტსმენები ხშირად იკრიბებოდნენ მის აგარაკზე, წყნეთში. როდესაც პაიჭაძე „დინამოს“ სტადიონის დირექტორი გახდა, ბერძენიშვილი მოადგილედ მიიწვია.

გრიშა გაგუამ, ფეხბურთს თავი რომ დაანება, ბავშვთა გუნდების კარგი მწვრთნელის სახელი მოიპოვა. ის მე 90-იან წლებში გავიცანი. „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაციაში მუშაობდა. ჩემი თხოვნით, მთავრობის ლოჯა დამათვალიერებინა.

კარს, რომ აღებდა, მითხრა: „ისე, უფლება კი არ მაქვსო“. ლოჯის უკან მოწყობილი იყო სასადილო ღამაზი ბუხრით, სადაც მატჩის წინ, თურმე, ცხელ სადილებს მიირთმევდნენ. „მე ვთხოვე შევარდნაძეს, რომ ჩვენი ვეტერანებისთვის ყურადღება მიექცია, მან კი პასუხიც არ გამცა“, – წუხდა გ.გაგუა. საკმაოდ ასაკში შესული გ.გაგუა ქობულეთში ასლან აბაშიძემ მიიწვია და კარგი პირობები შეუქმნა. სამწუხაროდ, გარდაცვალებამდე მას რამდენიმე წელი სკლეროზი აწუხებდა.

ახალგაზრდობაში არ ვიცნობდი აფხაზეთიდან (სოხუმიდან) გადმოყვანილ მცველს ნიაზ ძიააშვას. ის, შემდეგ ნოდარ ახალკაცთან ერთად მუშაობდა. მისი შვილი, 65 წლის ასაკში გავიცანი: მშენებლობის სამინისტროს მუშაკი იყო, სერიოზული და ჭკვიანი კაცი.

ასეთივე სოლიდური განათლება მიიღო ავთანდილ (ბასა) ლოღობერიძის შვილმა თენგიზმა (საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განხრით). ისიც საქმიანი, ფხიზელი ადამიანი ჩანდა. დედამისი მიმი, საოცარი სიღამაზის, ნაზი აღნაგობის ქალი იყო, რომელიც იდეალურად უვლიდა ავტოავარიის შემდეგ წლობით პარალიზებულ ქმარს.

1949 წელს, როდესაც ჩვენ „დინამოს“ ხაზით მარქსის (ვორონცოვის) მოედანთან, (ახლა წინამძღვრიშვილის ქუჩა) ოროთახიანი, არაიზოლირებული (!) ბინა მივიღეთ, ლოღობერიძე უცოლო იყო და სასტუმროში ცხოვრობდა. ერთი

¹ არ აპატიეს იმხანად „შერისხული“ ცკ მდივანის, დევი სტურუას ოჯახთან კონტაქტი

ჩვენი ოთახი დროებით მას გამოუყვეს, მაგრამ არ შეაწუხა ოჯახი და სასტუმროში დარჩა.

გუნდში, მამასთან ერთად თამაშობდნენ აგრეთვე ა. კიკნაძე, გ. ჯორბენაძე, ბ. ფროლოვი და სხვები, მაგრამ მე მათ ნაკლებად ვიცნობდი.

მამა, ეროსი მანჯგალაძეს, სულ ახალგაზრდას, როგორც დამწვებ რადიოკომენტატორს იცნობდა. „გადაცემის წინ, ეროსი ყბის კუნთებს ავარჯიშებდა ხოლმე“ – მასწავლა მამამ. დღემდე ამ რჩევას ვიყენებ, როგორც ლექტორი.

იმ წლებში, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დიდხანს იყო გ. სიხარულიძე, გამოცდილი ადმინისტრატორი, განათლებით – ელექტრიკოსი. მისი ძმა რომელიდაც გუნდს ავარჯიშებდა. რატომღაც ფეხბურთელები, ვიწრო წრეში, რომ დაღუვდნენ, სულ მათ კრიტიკაში იყვნენ: „დიდი სიხო, პატარა სიხო...“

სერგო კოტრიკაძეს, ახალგაზრდობაში, ლესელიძის სპორტულ პანსიონატში დასვენებისას, ყოველდღე მამასთან ვხედავდი. 2009 წელს, ამ შთაბეჭდილებით მასთან ფეხბურთის ფედერაციაში მივედი (მეკარე გაბელიაც იქვე იჯდა, მოწყენილი). ცივად მომესალმა, ხასიათზე არ იყო. შევიხივლე, რომ მამა სპორტის დეპარტამენტის არქივის ვეტერანთა ინტერნეტ-სიებში გამორჩენიათ. დახმარების ნაცვლად, აქეთ შემომჩივლა: „არავის არ ვჭირდებიო“ და ოთახიდან გავიდა.

მანუჩარ მაჩაიძე (რომელსაც ბიძაჩემმა ვანომ დააწყებინა თამაში), ე.შევარდნაძის მიერ სპორტის სასახლეში, კომკავშირის აქტივისტებისთვის მოწყობილ საახალწლო სუფრაზე გავიცანი – ლამაზი ქალების გარემოცვაში . .

სამოცდაათიანი წლების ბოლოს ის წარმატების ზენიტში იყო და ცხადია, მალე დაგავიწყდი. შემდეგ, 59 წლის რომ გახდა (მაშინ ლილოს სამშენებლო ქარხნის დირექტორად მუშაობდა), ბიზნესის აკადემიის სხდომებს (როგორც წევრები), ერთად ვესწრებოდი ხოლმე. აგინებდა ყიფიანს, ჩივაძეს, ახალკაცს – ფეხბურთი არ იცინათ. ახლა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ნ.ახალკაცთან კონფლიქტის პერიოდში, ვესწრებოდი მატჩს, რომელზეც მ.მაჩაიძე არ გამოიყვანეს და მაყურებელი, მისი გვარი ხმამაღლა რომ ახსენა, იქვე ჩააჩუმეს.

სხვა „დინამოელებთან“ მე პირადი კონტაქტი არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ძლიერ ფეხბურთელს, გივი ჩოხელს, რომლის ბინაშიც (პავლოვის ქუჩაზე), სულ ათიოდე წუთი დაგვაავი: ის, მაშინ, რესპუბლიკის ავტონისპექციის (ГАИ) უფროსის მოადგილე იყო.

საოცარია, რომ „დინამოელები“ ერთმანეთში სტუმრად არ დადიოდნენ და ჩემი დაკვირვებით, არც მეგობრობდნენ. პირიქით, მათ შორის (მსახიობებივით) ურთიერთშუღლს უფრო ვგრძნობდი. (მამა მხოლოდ პაიჭაძესთან მეგობრობდა, ისიც, ასაკში რომ შევიდა).

1951 წელს, ფეხბურთს, რომ თავი დაანება, მამის გადაყვანა პარტიის ცკ აპარატში უნდოდათ. შეავსებინეს ანკეტა. სოფელში გაზრდილმა, რუსული კარგად არ იცოდა, გრამატიკაში შეცდომა დაუშვია და ამიტომ თავაზიანი უარი უთხრეს - „ცუდი ხელწერა გქონიათ“.

1955 წლამდე მამა, „დინამოს“ მესაზღვრეთა სპორტული კლუბის ხელმძღვანელად მუშაობდა, პრაქტიკულად კი შინაგანი ჯარების სამხედრო გუნდებს ავარჯიშებდა (შემდეგ – ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი გახდა).

სკოლის წლებში ზაფხულობით მთელი ოჯახი ბაკურიანში მივდიოდით ხოლმე. მამა 35-ე – (ფეხბურთის) სკოლის მეკარეებს ავარჯიშებდა. ჩვენ და ცნობილი მსაჯი ჯონდო შავდია ნაქირაევ ბინაში საერთო ეზოში ვცხოვრობდით. მე და ჩემი ძმაც მეკარეებთან ერთად “იაგორას ველზე” დავდიოდით სავარჯიშოდ. დღემდე მახსოვს შუადღეს, შესვენებაზე დარიგებული „პავიდლოიანი პურის“ გემო, რადგან ისეთი სქელი, ხარსხიანი ხილფაფა მეტი არ შემხვედრია... იქვე იყო ლამაზ, ირმებით მოხატულ სვიტერში ჩაცმული ვ.პანიუკოვიც, რომელიც თავის შვილს ყოველდღე ფიჭვის ქერქისგან გემებს უთლიდა.

ჩვენთან ერთად ისვენებდა ხოლმე ცნობილი მსაჯი ოტია იოსელიანი. უფროსები სადამოობით მის ოჯახში „ბონკებიანი ლოტოს“ სათამაშოდ იკრიბებოდნენ ხოლმე.

35-ე სკოლაში იმ წელს პედაგოგად მოეწყო სრულიად ახალგაზრდა ვასილ კიენაძე, მუამად ცნობილი პროფესორი, მრავალი წიგნის ავტორი, თეატრალური ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი.

იმ წლებში, მამას ფეხბურთელთა პროფესიული დაავადება – რადიკულიტი დაეწყო. თვეობით იწვა ხოლმე შინ. წლობით მკურნალობდა წყალტუბოში. მას ჰქონდა აგრეთვე, ჩატეხილი რამდენიმე ნეკნი და ნაკერები სახეზე. „ჩვენ, სახელმწიფოს შემოსავლისთვის, გლადიატორებივით ვჭირდებით,” – უთქვამს მამას. სხვა მხრივ კი კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა, ისე გარდაიცვალა, კბილის ექიმთან არ ყოფილა.

მატჩის დღე მისთვის დიდი ზეიმი იყო. რატომღაც, ჩემი წაყვანა არ უყვარდა. ერთი საათით ადრე მიდიოდა, დირექტორის – პაიჭაძის ან მოადგილის – ბერძენიშვილის კაბინეტში ბაასობდა. დინამიკებიდან ქართული სიმღერების ჰანგები ისმოდა... ჯიბეში „სპორტის დამსახურებული ოსტატის” და სტადიონის მუდმივი საშვის წითელი წიგნაკები ედო (სადაც ჩარტყმული იყო შტამპი „Проход всюду“). დასავლეთ ტრიბუნის უფასო აბონემენტიც ჰქონდა, ასე რომ, უბილეთო, ერთი-ორი კაცის შეყვანა ყოველთვის შეეძლო.

მთავრობა კი შავი „ვოლგებით” მოდიოდა. მათი ლოჯა ფეხბურთელთა შესასვლელის გვერდით იყო. „ანტენიან მანქანებთან” ხშირად ვხედავდი, თეთრ პერანგში, კოსტად ჩაცმულ, მუდამ ხალისიან ს.ხაბეიშვილსა და ო.ჩერქეზიას.

ფეხბურთს ვუყურებდით მონაწილეთა ლოჯიდან (აბრაზე იყო *Ложя участников*). იქ ადგილები არ იყო დანომრილი. ჩვენს უკან მთავრობის ლოჯა იყო და თითქმის ყოველი გოლის გატანაზე დასავლეთ ტრიბუნის ეს უბანი, ტრადიციულად, ფეხზე დგებოდა და უკან იყურებოდა – ალბათ მთავრობის წევრთა რეაქცია აინტერესებდა. მათი გულის მოგებას ქალაქის მილიციის გაჯგომილი მაღალჩინოსნებიც ცდილობდნენ.

იმ წლებში, დასავლეთ ტრიბუნის წინ, ინვალიდთა მოტორიანი ეტლები იდგა ხოლმე. ომისშემდგომ წლებში ფეხბურთის მატჩზე ბევრი ყავარჯნიანი ხეიბარი მოდიოდა, უმეტესობა მოვრალი. მილიცია, რომელიც იმ წლებში განსაკუთრებით უხეშად მუშაობდა, მათ უმოწყალოდ, ხალხის თვალწინ ურტყამდა და მერე თავიანთ მანქანებისკენ მიათრევდა.

ლოჯაში, ნახავდით ეროსი მანჯგალაძეს, კოტე მახარაძეს, მწვრთნელებს, ვეტერანებს, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ ქალებს: ციალა სვანიძეს და მარია კალანდაძეს, ფეხბურთის დიდ მოყვარულებს. ხშირად, ტელევიზიას მე ჩამოსულ სტუმარში ვეშლებოდი (იერსახის გამო). ერთხელ, მწვრთნელ, ნოდარ ახალკაცის შემდეგ (რომელიც ჩემს უკან იჯდა და მხოლოდ საერთო ხედით აჩვენეს), ახლო “პლანით” ეკრანზე მეც აღმოვჩნდი. უნდა გენახათ, უნივერსიტეტში რამდენს ხუმრობდნენ მეორე დღეს...

შესვენებისას, მამას გასახდელში უყვარდა შესვლა, სადაც დოდის ცხენებივით გახვითქული ფეხბურთელები ტალახიანი მაისურებით, მეთლახის იატაკზე ბუცების კაკუნით შხაპის მისაღებად შედიოდნენ. იქვე იყო სამედიცინო სამსახური, ფიზიოკაბინეტები...

თამაშის შემდეგ, როცა ხალხის უზარმაზარი მასა ცენტრალური ჭიშკრისკენ მიემართებოდა, მამა რამდენიმე ვეტერანთან ერთად მოდიოდა. ისინი

ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზარებდნენ. მათ გარშემო მაშინვე 10-15 კაციანი ჯგუფი გროვდებოდა და მათ მსჯელობას მოწიწებით ყურს უგდებდა...

1935 წელს გახსნილი სტადიონი, ორმოცდაათიან წლებში, 40 ათას მაყურებელს იტევდა. შემდეგ, 1976 წელს, იგივე არქიტექტორმა, არჩილ ქურდიანმა და მისმა ვაჟმა, 80 ათას ადგილიანი სტადიონი ააშენეს. პრობლემა იყო სტადიონის დაცლა მატჩის შემდეგ, რისთვისაც ახლომახლო ქუჩებიდან შენობები უნდა აეღოთ. მალე საქართველოში ფეხბურთი ჩაკედა (ამის პროგნოზს მამა ჯერ კიდევ ნ.ახალკაცის დროს აკეთებდა: „ამოქაჩა ერის რესურსი“). სტადიონის გაფართოებას აზრი აღარ ჰქონდა და ამიტომაც, რომ სტადიონის ტრიბუნები ზოგან ლითონის ღობის ზემოდან გადმოდის.

ფიზიკულტურის ინსტიტუტის ლექტორად მუშაობის წლებში, მამა საერთაშორისო მატჩებში გოლების გატანის სტატისტიკით დაინტერესდა. რამდენიმე წელი, თამაშის წინ, ტელევიზორთან წამმზომით და ქაღალდით შეიარაღებული ემზადებოდა. გამოაქვეყნა რამდენიმე ორიგინალური შრომა ინსტიტუტის კრებულში და მოსკოვშიც. მაშინ ფეხბურთის თეორიაში ეს სრულიად ახალი მიმართულება იყო. მრავალი წლის შემდეგ (მე განათლებით კიბერნეტიკოსი ვარ), წავიკითხე, რომ ინფორმატიკის ერთ-ერთი მიმართულება (მონაცემთა ბაზები Oracle) პირველად, სწორედ, ამ მიზნით შექმნილა.

სიცოცხლის ბოლომდე მამას, კარგი რეაქცია ჰქონდა ბურთზე – როცა სრულიად მოულოდნელად ოთახში დიდი ძალით ვესროდი ხოლმე, არ მახსოვს, რომ არ დაეჭიროს. მამის ადამიანურ თვისებებს და ხალხის სიყვარულს, მის ავტორიტეტს, როგორც მიღებულია, გაქნილი ადამიანები ხშირად მერკანტილური, ეგოისტური მიზნებით იყენებდნენ ხოლმე. უამრავი მაგალითი მახსოვს, როცა მამის დახმარებით სარფიან ადგილებზე სამსახური უშოვნიათ. მოვიყვან ერთ მაგალითს: საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ძალზე შორ ნათესავს, თუ არ მეშლება, კერამიკის ლაბორატორიის გახსნა მოუნდა. 1-2 წელი ვერ მოახერხა. შემდეგ, კი წერილი გადასცა მამას მთავრობაში მისატანად. ერთხელ, თავისუფლების მოედნის ზედა უბანში, მამამ თვალი მოჰკრა ე. შევარდნაძეს, რომელიც ფეხით მოდიოდა. ე.შევარდნაძე, მამა რომ დაინახა, გამოექცა დაცვას და მიესალმა, მამამ მოასწრო ჯიბიდან წერილის ამოღება, რომელსაც ე.შევარდნაძემ მანქანის საბარგულზე მოუწერა ხელი. კერამიკის ლაბორატორია (თუ საამქრო) გაიხსნა, მაგრამ მამა, რომ გარდაიცვალა, მაშინაც კი არ მახსოვს რაიმე ყურადღება ან დახმარება იმ ოჯახიდან...

მამა 1983 წლის 6 იანვარს, 69 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა. წინა დღეს „ლექსკომბინატის“ მკურნალ ექიმთან იყო. მან გულის არეში ტკივილებზე... კუჭის წამლები გამოუწერა...

ღამის 12 საათზე გულმა გააღვიძა. მუდამ მორიდებული, ცოლი, რომ არ შეეწუხებინა, დილის 6 საათამდე მაგიდასთან ბალიშით იჯდა... შემდეგ მე გამაღვიძა და სასწრაფოს გამოძახება მოხოვა. „ლექსკომბინატის“ სასწრაფოს კარდიოგრამამ „ფართე ინფარქტი“ აჩვენა. გული საათნახევარი კიდევ ებრძოდა სიკვდილს...

ამ დღეებში, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა უცნობმა (რომელსაც ხელოსნის იერი ჰქონდა). ის მოვიდა მარტო, დარეკა ზარი და 100 მანეთი (მაშინ - ერთი თვის საშუალო ხელფასი), დედას გადასცა სიტყვებით: „მან იმდენი სიამოვნება მომანიჭა თავისი თამაშით...“

მამა ფიზიკულტურის ინსტიტუტის შენობიდან გამოასვენეს. მ. ბლანტერის ტრადიციული „ფეხბურთის მარშის“ ზეგავლენით ცრემლი ბევრს ჰქონდა, მაგრამ, გამიკვირდა, რომ სულ სხვა თაობის „დინამოელი“ – დათო ყიფიანი, გულაჩუყებული ტიროდა.

გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კონსერვატორიის პროფესორი, რაფინირებული ინტელიგენტი, გულბათ ტორაძე, ფეხბურთზე საინტერესო წიგნების ავტორი, მამაზე ჟურნალ „ფეხბურთში“ სტატიის დასაწერად შინ გვეწვია. შუა საუბარში (ისე, რომ ჩემგან ნებართვაც არ აუღია), მეორე ოთახის კარი გამოაღო და გაკვირვებულმა იკითხა: „სერგო შუდრა ამ ბინაში ცხოვრობდა?...“

მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ომარ შუდრა

წიგნის შექმნაში დახმარებისათვის გამომცემლობა მადლობას უხდის პროფესორებს ფ. კალანდარიშვილს, ნ. ილურიძეს, სკოლის დირექტორებს: ვ. ყურულაშვილს, მ. დეკანოძეს, პედაგოგებს: მ. ჭარელიშვილს, ნ. კაზარიანს, მოსწავლეს – ნ. ლომიძეს, აგრეთვე ნ. ფირცხალავას და თ. შუდრას.

